საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 26 (270) სამშაბათი, 9 თებერვალი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

ედუარდ შევარდნაძე: ომის გაგრძელება აფხაზეთში იმათ აძლევს ხელს, ვინც მისი პროვოცირება მოახდინა და იგი თავს მოგვახვია

8 თებერვლის რადიოინტერვიუ

— ვიზიტი აზერბაიჯანში დიდი მოვლენა იყო ჩვენს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს რადიოს კომენტატორ ნატო ონიანთან ინტერვიუში, როცა გასული კვირის მოვლენებს შეეხო. — ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან — აზერბაიჯანთან ურთიერთობის მოწესრიგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მომავალი კავშირები მსოფლიოს დიდ ქვეყნებთან, — თქვა მან, — რადგან ამ ვიზიტის დროს ხელმოწერილი ხელშეკრულება მთლად სტანდარტული დოკუმენტი როდია. გარდა იმისა, რომ იგი კომპლექსურია და ჩვენი ურთიერთობის ყველა სფეროს მოიცავს, მასში ლაპარაკია აგრეთვე ურთიერთუსაფრთხოების გარანტიებზე. მე ამ ფაქტს ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავ, რომ უსაფრთხოებას საერთოდ ბევრი ასპექტი აქვს — პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, სოციალურიც და ჩვენ ყველა ამ ასპექტის გარანტიები დავაფიქსირეთ. აი, ეს არის უსაფრთხოება ფართო გაგებით. ამიტომაც გამოირჩევა ბაქოში ხელმოწერილი ხელშეკრულება სხვა სამართლებრივი დოკუმენტებისაგან.

ჩვენ მოვხაზეთ და დავაფიქსირეთ ორმხრივი სახარგებლო ინტერესების წრე და შევთანხმდით, რომ ორივე ქვეყნის ტერიტორიების გამოყენება ამ ინტერესებისათვის აუცილებელია. შავმა ზღვამ დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენს ეკონომიკურ ძლიერებაში, ისევე როგორც კასპიის ზღვამ. ირანთან დადებული ხელშეკრულებების რეალიზაცია აზერბაიჯანის ფაქტორის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება. ამიტომ ბაქოში ვიზიტით ერთგვარი ციკლი შეიქმნა, რომელიც სამომავლო გეგმების შესრულების გარანტიას იძლევა.

ხელშეკრულებაში ჩადებულია მუხლები, რომლებითაც უზრუნველყოფილია საქართველოში აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანში კი ქართველი მოსახლეობის ყოველგვარი უფლებები, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — ცალკეა მუხლი, რომელიც ეროვნული უმცირესობების შესაბამისი უფლებების დაცვის, ასიმილაციის გამორიცხვის გარანტიას იძლევა. ერთი სიტყვით, ხელშეკრულებაში ჩაწერილი ეს მუხლები სრულიად შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ევროპული პროცესები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება გვავალდებულებს, ამ მხრივ აზერბაიჯანს აქვს თავისი ინტერესები საქართველოში და ჩვენც გვაქვს ჩვენი ტკივილი საინგილოს სახით. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ამ ასეთი გარანტიების დაფიქსირება აუცილებელი და საჭიროა, რათა ორ ქვეყანას შორის ყოველგვარი გაუგებრობა გამოირიცხოს.

— ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე მოლაპარაკება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, რაკი ასეთ საკითხებზე მოლაპარაკებათა წარმოებას ხელშეკრულების 20 მუხლი ითვალისწინებს? — ჰკითხა კომენტატორმა.

— არის ლაპარაკი აგრეთვე დავით გარეჯის საკითხზე და ასეთი მოლაპარაკება იქნება, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, და ვფიქრობ, ამ პრობლემას შედარებით ადვილად გადავწყვეტთ. შესაძლოა სხვა საკითხებიც წამოიჭრას და ეს იქნება ისეთივე ჩვეულებრივი ნორმა, როგორსაც ცივილიზებული საერთაშორისო ნორმები ითვალისწინებს. მთავარი ახლა ის არის, რომ აზერბაიჯანზე საბჭოურ წლებში არსებული შეხედულებები შეიცვალოს. ეს დიდი მომავლის ქვეყანაა და მასზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა, — დასძინა მან.

შეეხო რა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, მოლაპარაკებათა მესამე რაუნდს, რომელიც ახლახან დამთავრდა, და საქართველოს პარლამენტში გამართულ დებატებს, ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ნამდვილად მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დაგვრჩა, მაგრამ მარტო ამით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ არ ვიცი ვისთან შეიძლება გვქონდეს კარგი ურთიერთობა. თურქეთთან და ირანთან მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებებს. მათთანაც ოდესღაც არ გვქონდა სახარბიელო ურთიერთობა. რუსეთთანაც ჩვენი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ეს ფრაზა ჩემი ინიციატივით აისახა რეზოლუციაში, რომელიც პარლამენტმა მიიღო. უდავოა, რომ აფხაზეთიდან უნდა გავიდეს რუსეთის არმიის ის ნაწილი, რომელიც ეშერაშია განლაგებული და ეს ახლო მომავალში უნდა მოხდეს. ეს უპირველესი ამოცანაა. მეორე ნაწილზე კი, რომელიც აგრეთვე აფხაზეთშია, ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ და ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი მომენტი იქნება.

რაც შეეხება რუსეთის ჯარის მთლიანად გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — ეს ისეთივე პროცესია როგორც ეს იყო ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკეთში. აქ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება არას გვარგებს. ამის დამადასტურებელი მაგალითიც გვაქვს, როცა ამგვარმა მეთოდებმა ბალტიისპირეთის ქვეყნებს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. პირიქით — ავნო კიდეც, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო ასეთი ქმედობა. მე ვფიქრობ, ჩვენ აქამდე არ უნდა მივიყვანოთ საქმე. უნდა შევინარჩუნოთ ის მხარდაჭერა, რომელსაც გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ჩვენდამი გამოხატავს. ასეთი მხარდაჭერის ფაქტი უკვე ორჯერ იყო. სანამ რუსეთთან ურთიერთობის სამართლებრივ ბაზას არ შევქმნით, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მა-

(დასასრული მე-2 გვ.).

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ 6 თებერვალს დაახლოებით 18 საათზე მოწინააღმდეგემ ცეცხლი გახსნა სოხუმის გუმისთის სარემონტო ქარხნის მიმართულებით. იმ დროსვე რუსეთის თვითმფრინავმა დაბომბა სოხუმის ქუჩები და საბრძოლო პოზიციები მდინარე გუმისთაზე.

ერთდროულად დაიწყო ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაცია სოფელ აშხარასა და ქვემო ეშერის მიდამოებში.

ოჩამჩირის რაიონში, სოფელ მერკულასთან აფხაზურმა სამხედრო ფორმირებებმა ჩამოაგდეს ერთი ქართული თვითმფრინავი — სუ-25-ის პილოტმა კატაპულტირება მოახერხა.

სოხუმში, შუქურის რაიონში 16 საათზე აიღეს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, რომელიც უვნებელყვეს ქართველმა მებრძოლებმა.

მდინარე გუმისთაზე 22 საათისათვის შეამჩნიეს აფხაზური სამხედრო ფორმირებების კონცენტრაცია, რომლებმაც დაიწყეს საარტილერიო სროლა, მაგრამ ქართულმა არტილერიამ საპასუხო ცეცხლით ჩაახშო მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები.

იმავე დღეს ღამის 3 საათისათვის შრომა-კამანის მიმართულებით აფხაზურმა ფორმირებებმა მოახდინეს ძალების კონცენტრაცია და ცდილობდნენ განევითარებინათ საბრძოლო მოქმედება, მაგრამ ქართულმა არტილერიამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

7 თებერვალს დილის 7 საათისათვის სოხუმის სანაპიროსთან, ზღვაში შეამჩნიეს მოწინააღმდეგის კატარღები, რომლებიც ნაპირს არ მოახლოებიან, ისე მიიმალნენ ღია ზღვაში.

9 საათისათვის სოხუმისა და ჩვენი საბრძოლო პოზიციების თავზე გამოჩნდა რუსეთის ამოსაცნობი ნიშნების მქონე ორი სამხედრო თვითმფრინავი სუ-25. მათ მაღალ სიმაღლეზე რამდენჯერმე დაარტყეს წრე და მიიმალნენ გუდაუთის მიმართულებით.

დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მდინარე გუმისთაზე რამდენჯერმე სცადა თავისი ძალების კონცენტრაცია და შეტევის ორგანიზება, მაგრამ ჩვენი საარტილერიო ცეცხლი მათ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას ფანტავდა და შეჯგუფების საშუალებას არ აძლევდა.

17 საათისათვის ცაში კვლავ გამოჩნდნენ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები და მცირე ხნის შემდეგ უკან გაბრუნდნენ.

იოსებ ბოხეჩია.

ოჩამჩირე უწყლოდ დარჩა

ფრონტისპირა ქალაქი ოჩამჩირე უწყლოდ დარჩა. 6 თებერვალს ღამით აფხაზმა ექსტრემისტებმა ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვის ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი კონტროლს უწევენ, ააფეთქეს წყალსადაწნეო კოშკი, რომელიც წყლით ამარაგებს ქალაქს.

6 თებერვალს განაგრძობდა მოქმედებას საჰაერო ხიდი ადლერ-ტყვარჩელი, რომლითაც მიაქვთ ჰუმანიტარული დახმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. ქართველთა მხარე შეუფერხებლად უშვებდა შესაბამისი ტვირთით სავსე რუსეთის ვერტმფრენებს. ამ დღეს ტყვარჩელისაკენ მოეწყო ჰუმანიტარული დახმარების ხუთი რეისი.

ენდი ჟამიერაშვილი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ნომერში

⊙ ყველაფერი მთავარია, რაც მიწასთან არის დაკავშირებული. 3
⊙ გადავარჩინოთ „დილა" — ჩვენი ნორჩების უსაყვარლესი ჟურნალი. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საბჭოს სხდომა

უახლოეს ხანში რუსეთის ჯარების ქვეგანაყოფმა უნდა დატოვოს სოფელი ქვემო ეშერა სოხუმის მახლობლად ტერიტორიაზე, რომელსაც აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებანი აკონტროლებენ. ეს განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ 6 თებერვალს გამართულ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საბჭოს სხდომაზე. მან დაიმოწმა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე რუსეთის სამხედრო ექსპერტთა დელეგაციის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე გალკინი, რომელსაც წინა დღით ესაუბრა. ასეთია ამ სოფლიდან და გუდაუთიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფების გაყვანის შესახებ საქართველოს კატეგორიული მოთხოვნის შედეგები. ქვემო ეშერას დატოვებს 800-მდე სამხედრო მოსამსახურე. რაც შეეხება გუდაუთას სადაც აეროდრომია, რუსეთის მხარე დაჟინებით მოითხოვს, რომ მისი სამხედრო ბაზა ჯერჯერობით დარჩეს იქ და გადაეცეს საქართველოს მოლაპარაკების საბოლოო დოკუმენტში განსაზღვრულ ვადებში.

სახელმწიფოს მეთაურმა გააკეთა აგრეთვე ინფორმაცია ირანსა და აზერბაიჯანში საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტების შედეგების შესახებ, მოითათბირა საბჭოს წევრებს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხზე, კერძოდ, კავკასიის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ საუბრისას მან აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის ხელმძღვანელობამ ამ ბოლო ხანს შეცვალა აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებისადმი თავისი დამოკიდებულება, და ახლა ასეთ მოქმედებაში ამ რესპუბლიკის უმნიშვნელო რაოდენობის „მოხალისენი" მონაწილეობენ.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ორდენებისა და მედლების პროექტები, რომლებიც წარმოადგინა ავტორთა კოლექტივმა ემირ ბურჯანაძის მეთაურობით. შენიშვნების შემდეგ, რომლებიც განხილვის დროს გამოთქვეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა როინ მეტრეველმა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მიონის" განყოფილების გამგემ პროფესორმა ალექსანდრე გერასიმოვმა, მწერალმა აკაკი ბაქრაძემ და საბჭოს სხვა წევრებმა, სახელმწიფო ჯილდოების ესკიზები მთლიანად მოწონებული იყო. საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტთან ერთად მიიღებენ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქირურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, დოცენტ ელზა ზურაბიანის ინიციატივით განხილული იყო საკითხები, რომლებიც უკავშირდება რუსეთის სამხედრო ჰოსპიტლების საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საბჭოს სხდომები გაიმართოს ყოველი თვის პირველ შაბათს.

შეხვედრაზე შეჯამდა დიდი მოცულობის სამუშაო

8 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველო-რუსეთის სახელმწიფო მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, საგანგებო დავალებათა ელჩი ფელიქს კოვალიოვი.

შეხვედრაზე შეჯამდა დიდი მოცულობის სამუშაო, რომელიც ჩატარებული იქნა ორ მეზობელ სახელმწიფოს დელეგაციების მოლაპარაკებებზე მესამე რაუნდის მსვლელობის დროს. არ შეიძლება ორივე სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთა გადადება — აღინიშნა მიღებაზე. ცალკეული ხელშეკრულებები უკვე სათანადო კონდიციამდეა მიყვანილი. ახლა საჭიროა მათი ერთ პაკეტში განხილვა და სათანადო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების გაფორმება. ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ გაურკვევლობას განსახილველ საკითხებზე, რათა მოლაპარაკების პროცესს მეტი დინამიზმი მიენიჭოს.

მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი უახლოეს ხანში განახლდება. იქამდე კი მხარეების შეთანხმებისამებრ გაგრძელდება ინტენსიური კონსულტაციები საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებზე.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს განცხადება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოთქვამს 6 თებერვალს ქალაქ სოხუმისათვის აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ მძიმე ქვემეხების ცეცხლის დაშენის გამო. იმავე დღეს, ნათქვამია განცხადებაში, პირველად ამ ბოლო თვეში, სოხუმის თავზე გაჩნდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები, რომლებმაც ბომბები დაუშინეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პოზიციებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებებისა და ქალაქ გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ამგვარი მოქმედება, ჯერ ერთი, ეჭვქვეშ აყენებს ქალაქ ტყვარჩელისათვის ჰუმანური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობას, მეორე, აშკარად პროვოკაციული ხასიათისაა, რომელიც მიზნად ისახავს ჩაშალოს მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის.

ზემონათქვამების საფუძველზე, მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის მთელ პასუხისმგებლობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აკისრებს აფხაზთა და რუსეთის მხარეებს.

რუსეთის სამხედროები ბოდიშს იხდიან

თბილისი. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრი იუწყება, რომ მის მიერ 5 თებერვალს გავრცელებული ინფორმაცია 4 თებერვალს თბილისში მესამე საცხოვრებელ მასივში რუსეთის საავტომობილო ბატალიონის განლაგების მახლობლად ავტომანქანა „ურალის" გატაცების ფაქტის შესახებ შეიცავს უზუსტობას.

შეცდომით განაცხადეს, რომ ავტომანქანა გაიტაცეს იმავე შეიარაღებულმა ადამიანებმა, რომლებმაც თქვეს, რომ არიან „მხედრიონის" ბაზაზე შექმნილი მაშველთა კორპუსის წარმომადგენლები, და რომლებმაც ამ შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე მოსთხოვეს ბატალიონის პირად შემადგენლობას დაეტოვებინათ დისლოკაციის ადგილი. სინამდვილეში, ავტომანქანას ჯერ ცეცხლი დაუშინეს, შემდეგ კი გაიტაცეს დაუდგენელმა პირებმა.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრი ბოდიშს იხდის მისი თანამშრომლების მიერ დაშვებული შეცდომისათვის.

კიდევ ერთი იმედისმომცემი ფონდი

ისეთივე ლამაზი, როგორც თვით ახალგაზრდობაა, იყო ახლად შექმნილი საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის წარდგინება. ეს ცერემონიალი კვირას, 7 თებერვალს გაიმართა მეტეხის სასტუმროში და შეკრიბა საქართველოს პარლამენტის და მთავრობის, საპატრიარქოს წევრები. თბილისში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოებისა და წარმომადგენლობათა მუშაკები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, დიდი საწარმოების და ბანკების, საქმიანი წრეების, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ილაპარაკა რა ფონდის დანიშნულებისა და ამოცანებზე, მისმა პრეზიდენტმა გიორგი კალანდაძემ ხაზი გაუსვა, რომ კრიზისი, რომელმაც დღეს ჩვენი ქვეყანა მოიცვა, თავისი ხასიათითა და მასშტაბით საერთო ეროვნულია და მისი დაძლევა მთელი ერის საგანგებო ძალისხმევას მოითხოვს. ღონისძიებები, რომლებმაც ქვეყანა შექმნილი ვითარებიდან უნდა გამოიყვანოს, მოითხოვენ კარდინალური რეფორმების განხორციელებას. ხოლო ამ რეფორმების ხორცშესხმას კვალიფიციური, ფართოდ მოაზროვნე და ღრმა ცოდნის მქონე სპეციალისტები ესაჭიროება, რომელთა დიდ დეფიციტს განიცდის დღეს საქართველო. ამიტომ, ზრუნვა პროფესიონალ-სპეციალისტთა კვალიფიციურ კადრებზე დღეს ერის უპირველესი ამოცანაა. ფონდი იზრუნებს ნიჭიერი ახალგაზრდების უცხოეთის ქვეყნებში სასწავლებლად გაგზავნაზე, უცხოელი სპეციალისტების მოწვევაზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების და კონსულტაციების გასამართავად, უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფაზე. დაგეგმილია აგრეთვე საგამომცემლო და საინფორმაციო სამსახურების შექმნა, ქართული არმიის შესაქმნელად მთავრობასთან ფართო თანამშრომლობა, ომგადახდილი ახალგაზრდობის სოციალური უზრუნველყოფა, ჰუმანიტარული და საქველმოქმედო საქმიანობა.

ახლადშექმნილი ფონდი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ახალგაზრდობა, — თქვა მან, — დიდი ძალაა და მანაც უნდა იზრუნოს ქვეყნის მომავალზე. ახალგაზრდობას მაქსიმალიზმი ახასიათებს. მან თავი უნდა დააღწიოს ამას და მკაფიოდ უნდა იცოდეს, რა შეუძლია და რა უნდა. დღეს ჩვენში ფილოსოფოსების ნაკლებობაა, ხოლო კრიტიკოსები ძალზე მომრავლდნენ. ამიტომ, ახალგაზრდებმა სხვის კრიტიკას კი არ უნდა მიჰყონ ხელი, არამედ მხარში ამოუდგნენ უფროს თაობას, განაგრძონ და წინ წასწიონ უფროს თაობათა გამოცდილება და ნაღვაწი.

ახალგაზრდობის ინიციატივას გულთბილად მიესალმა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. დადგა დრო, — თქვა მან, — როდესაც გუშინდელი და დღევანდელი ცოდნა არაა საკმარისი იმისათვის, რომ ახალი გზით იარო. არც სხვისი მაგალითის, რაც არ უნდა მდიდარი და კარგი იყოს იგი, მექანიკური გადმოღება შველის საქმეს. თავი და თავი ის ხალხია, ვინც ახლებურად უნდა გაიაზროს ერის წარსული გამოცდილება, მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები და წინ წასწიოს საქართველოს ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა. ეს შეუძლიათ მხოლოდ და მხოლოდ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, იმ ახალ ფენას, რომელიც ახლა გამოდის ჩვენში არენაზე და რომელსაც ყოველმხრივი მხარდაჭერა ესაჭიროება.

სახელმწიფოს მეთაურმა დახმარება აღუთქვა ახლადშექმნილ ახალგაზრდულ ფონდს როგორც სამთავრობო, ისე პირად დონეზე, კერძოდ, კავშირების დამყარებაში საზღვარგარეთის ფირმებთან და ანალოგიურ ფონდებთან.

ახლადშექმნილ საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა, ქალაქ თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, სახელმწიფო მინისტრმა გოგი ხაინდრავამ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნმა, რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში ვლადიმერ ზემსკიმ და სხვებმა.

წარდგინების დღეს გამოჩნდნენ ფონდის პირველი შემწირველი — ოზურგეთის ჩაის აუქციონი, ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება „დირეხი" და მისი თავმჯდომარე ეფრაიმ გური, კომერციული ფირმა „გაბო" და სხვები.

სურათებზე: საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდის პრეზენტაციის დროს.

ზივი კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის პრეზიდიუმის

დადგენილება

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის შესახებ

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით (დადგენილება ნომერი 960, 1992 წ. 30 (9) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, როგორც დამოუკიდებელი კულტურულ-საგანმანათლებლო ერთეული. იგი მოწოდებულია პოპულარიზაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარებას საზღვარგარეთ და დაეხმაროს ქართველოლოგიით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტებსა და მეცნიერებს.

ამ ცენტრის გახსნას წინ უძღოდა თსუ ბაზაზე ჩატარებული არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება: 1975 წლიდან დაწყებული, იტალიასა და საქართველოში რეგულარულად ტარდება ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმები; 1987-1988 წლებში ჩატარდა პირველი და მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმები; 1990 წელს — ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა-სემინარი უცხოელთათვის. უცხოეთის სამეცნიერო წრეებში აღიძრა ინტერესი ქართველოლოგიური მეცნიერებებისადმი. ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის სახელზე მოვიდა სხვადასხვა მოსაზრებისა და ქართველოლოგიური სკოლის მუშაობის გაგრძელების სურვილის შემცველი წერილები.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის საერთაშორისო დისციპლინად დამკვიდრებას. ცენტრი ჩაატარებს ქართული ენისა და ქართველოლოგიურ მეცნიერებათა საზაფხულო სკოლა-სემინარებს; ინდივიდუალურ კონსულტაციებს, სპეცკურსებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს ქართული ენის შესწავლით და ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთათვის მათთვის მიზანშეწონილ დროს; რეგულარულად გამოსცემს ქართველოლოგიურ ჟურნალს ინგლისურ ენაზე, გაამრავლებს და დაბეჭდავს თვითმასწავლებლებსა და ქართველოლოგიურ მეცნიერებათა გზამკვლევებს უცხო ენებზე და ა. შ.

ცენტრის მუშაობის ძირითადი ფორმაა სახელშეკრულებო კონტაქტები საქართველოს რესპუბლიკასა და უცხოეთის წამყვან სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან, პედაგოგებთან და მთარგმნელებთან.

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს ნაწილობრივ სახელმწიფო და ნაწილობრივ თვითდაფინანსების, აგრეთვე ქველმოქმედებისა და შემოწირულობათა გზით შექმნილი ფონდის საშუალებით.

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი აღიარებს ქართველოლოგიური ცენტრის დიდ მნიშვნელობას ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და მის საერთაშორისო დონეზე გატანის საქმეში და **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორის, პროფესორ ე. ხინთიბიძის ინფორმაცია ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის გახსნის და მისი ამოცანების შესახებ.
2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტს, განათლების, კულტურის, ფინანსთა სამინისტროებს, ეროვნულ ბანკს, კერძო ფირმებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ბიზნესმენებს აქტიურად ითანამშრომლონ და დახმარება გაუწიონ ცენტრს თავის საქმიანობაში.
3. ეთხოვოს ქართველოლოგიური სკოლის ცენტრს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს წინადადებები ქართველოლოგთა საუკეთესო ნაშრომებისათვის საერთაშორისო პრემიების დაწესების შესახებ.

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის

დადგენილება

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებების („საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწიგნში" შექმნილი მძიმე საფინანსო-ეკონომიკური პირობების შესახებ" — 1992 წლის 18 აგვისტო, დადგენილება 2; „ქართული კულტურის ძეგლები, სამუზეუმო და საარქივო ფასეულობათა დაცვის მკვეთრი გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ" — 1992 წლის 18 სექტემბერი, დადგენილება 3) შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

აღნიშნავს რა ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას, ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მომზადდეს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება საქართველოს რესპუბლიკის კულტურის ობიექტებისა და პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სახელმწიფო კორპორაციის წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის" ქონების მათ საკუთრებად დაკანონების შესახებ;
2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სახელმწიფო კორპორაციას (ბ-ნი ვიქტორ რცხილაძე) შექმნას სპეციალური კომისია და სათანადო სამინისტროებთან, უწყებებთან, ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტთან ერთად 1993 წლის 1 მაისამდე რესპუბლიკის პარლამენტის კულტურის კომისიაში და მთავრობაში განსახილველად მოამზადონ კორპორაციის მთელი სისტემის რეფორმის პროექტი.
3. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, (ბ-ნი დავით მაღრაძე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, ვაჭრობის, რესტავრაციის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან, სადაზვერვო სამსახურთან, პროკურატურასთან, ტელერადიოკორპორაციასთან, ქალაქის მერიასა და რაიონების გამგებლობებთან ერთად 1993 წლის 20 მარტამდე მოამზადოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების პროექტი ქართული კულტურის ძეგლების, სამუზეუმო და საარქივო ფასეულობათა დაცვისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხთა მოგვარების შესახებ;
4. აღნიშნული დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის წევრს, სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ვალერი ასათიანს.

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

მოწვეულია კომიტეტის გაფართოებული სხდომა

ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 1993 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოწვეულია ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის გაფართოებული სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

„თანამედროვე ეტაპზე კულტურის სფეროში ახალი ეკონომიკური პრინციპების ჩამოყალიბებისა და დანერგვის შესახებ".

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
უშიშროების საბჭო

ჩვენი საზოგადოებრიობა ფართო ინტერესს იჩენს იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტებისადმი, რომლებიც საქართველოში, კერძოდ კი აფხაზეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ჩვენი მკითხველების თხოვნით დღეს ვაქვეყნებთ ორ დოკუმენტს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ბატონ ბუტროს გალის მოხსენებას, წარმოდგენილს მიმდინარე წლის 28 იანვარს, და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბარათს, რომელიც წაიკითხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1993 წლის 29 იანვარს.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბარათი

1993 წლის 29 იანვარს გამართულ უშიშროების საბჭოს 3169-ე სხდომაზე, „საქართველოში შექმნილი მდგომარეობის" პუნქტის საბჭოს მიერ განხილვასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებთან კონსულტაციების შემდეგ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„უშიშროების საბჭო კმაყოფილებით იღებს ცნობად გენერალური მდივნის მოხსენებას აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) არსებული მდგომარეობის შესახებ (S/25188).

საბჭო გამოთქვამს თავის უდიდეს შეშფოთებას აფხაზეთში მდგომარეობის შემდგომი გაუარესების გამო და მოუწოდებს ყველა მხარეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საბრძოლო მოქმედება, პატიოსნად დაიცვან და შეასრულონ 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების პირობები, რომელშიც დადასტურებულია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, გათვალისწინებულია ცეცხლის შეწყვეტა და მხარეების მიერ ძალის გამოყენებაზე უარის თქმა, და რომელიც წარმოადგენს საერთო პოლიტიკური გადაწყვეტის საფუძველს.

საბჭო იზიარებს გენერალური მდივნის აზრს, რომ 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთში სიცოცხლისუნარიანი მშვიდობიანი პროცესის აღდგენამ შეიძლება მოითხოვოს საერთაშორისო გაერთიანების მხრივ უფრო აქტიური მხარდაჭერა, რათა ხელი შეუწყონ მხარეებს შეთანხმების მიღწევასა და ცეცხლის შეწყვეტაში, ლტოლვილთა დახმარებასა და პოლიტიკური მოწესრიგების შემუშავებაში. ამ კონტექსტით საბჭო კვლავ აცხადებს, რომ მხარს უჭერს ძალისხმევას, რომელსაც ამ მიზნით მიმართავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი (ევროთათბირი).

ამ მიზნით საბჭო მხარს უჭერს გენერალური მდივნის წინადადებას, რომ საქართველოში გაიგზავნოს ახალი მისია აფხაზეთში არსებული მდგომარეობის შესასწავლად, ხაზს უსვამს, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეფექტიანი კოორდინაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობასა და ევროთათბირის საქმიანობას შორის, რომლის მიზანია მშვიდობიანობის აღდგენა. საბჭო თვლის, რომ საჭიროა შეფასება მიეცეს ზოგად პოლიტიკურ სიტუაციას და განხილულ იქნეს პრაქტიკული საკითხები, როგორიცაა, ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და მეთვალყურეობა მისი დაცვისადმი, კონტროლი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის აფხაზეთში გამავალ საზღვარზე და რკინიგზებისა და მიმოსვლის გზათა დაცვა აფხაზეთში, აგრეთვე წარმოდგენილი იქნეს რეკომენდაციები ამასთან დაკავშირებით.

საბჭო აგრეთვე მხარს უჭერს გენერალური მდივნის წინადადებას, გაიგზავნოს აფხაზეთში მისია ფაქტების დასადგენად იმ მიზნით, რომ განიხილოს განცხადებანი ორი მხარის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ვითომდა დარღვევის შესახებ.

საბჭო სთხოვს გენერალურ მდივანს წარმოადგინოს მოხსენება მისიის მუშაობის შედეგების შესახებ და წამოაყენოს ღონისძიებანი ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის განმტკიცებისა და საერთო პოლიტიკური მოწესრიგების უზრუნველყოფისათვის.

გენერალური მდივნის მოხსენება
აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) არსებული მდგომარეობის შესახებ

შესავალი

1. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1992 წლის 10 სექტემბრის განცხადება საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ შეიცავდა თხოვნას, რომ მე პერიოდულად მიმეწოდებინა ინფორმაცია საბჭოსათვის აფხაზეთის ამბების შესახებ (იხ. S/24542). ეს მოხსენებაც უშიშროების საბჭოს ამ თხოვნის შესაბამისად მომზადდა.

2. წინამდებარე მოხსენება შეიცავს განახლებულ მონაცემებს აფხაზეთთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ, ჩემი 1992 წლის 10 ნოემბრის წერილის შემდგომ პერიოდში, წერილისა, რომელშიც შეტანილი იყო საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანასკნელი მისიის საქმიანობის ამსახველი მოხსენების რეზიუმე (S/24794). ამ წერილში მე აღვნიშნავდი, რომ იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც 1992 წლის სექტემბერში ამ ქვეყანას ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი მისია, ვითარება აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით დრამატულად გამძაფრდა, მე აღვნიშნე, რომ მას შემდეგ, რაც აფხაზთა მხარემ განაახლა საბრძოლო მოქმედება, 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება დაირღვა, აგრეთვე წამოვაყენე შესაძლო გზები, როგორ გაეწია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ხელშეწყობა 3 სექტემბრის შეთანხმების განხორციელებაში, მათ შორის, შეთანხმების დაცვისადმი კონტროლის მიზნით მეთვალყურეთა განლაგებაში.

3. მე აგრეთვე ვაცნობე საბჭოს, რომ ჩემ მიერ უკვე წამოყენებული წინადადების (S/24633) შესაბამისად, რომელიც უშიშროების საბჭომ დაამტკიცა (S/24637), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორი თანამშრომელი 1992 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მისიის დამთავრების შემდეგ დარჩა საქართველოში, რათა უზრუნველეყო იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველადი ყოფნა. გარდა ამისა, 1992 წლის ნოემბერში თბილისში (საქართველოს რესპუბლიკა) გაიხსნა გაეროს გაერთიანებული დროებითი წარმომადგენლობა. ამ მოხსენებაში გათვალისწინებულია ინფორმაცია, რომელიც მივიღეთ საქართველოში მყოფი გაეროს თანამდებობის პირებისაგან.

ადგილობრივი ვითარება

4. ქართველთა და აფხაზთა ძალებს შორის საომარი მოქმედების ინტენსიურობა კვლავინდებურად მაღალ დონეზე იყო. ხანმოკლე ცხრადღიანი პერიოდის გამოკლებით (1992 წლის 20-29 ნოემბერი), რომლის განმავლობაში მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის მიღწევა, რათა უზრუნველეყოთ რუსეთის ზოგიერთი სამხედრო ნაწილის გაყვანა სოხუმის რაიონიდან, საბრძოლო მოქმედება წინანდელი ინტენსიურობით გრძელდებოდა.

5. მას შემდეგ, რაც ოქტომბრის დამდეგს ქალაქი გაგრა ხელთ იგდეს აფხაზთა ჯარებმა, ქართველთა და აფხაზთა ძალებს შორის სამხედრო კონფრონტაციის ძირითადი ხაზები პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა. ქართველთა ჯარებმა ვერ შეძლეს კვლავ დაეწესებინათ კონტროლი დაკარგული ტერიტორიებისათვის, ხოლო აფხაზთა ჯარებმა ვერ ჩაიგდეს აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი, რომელსაც რეგულარულად უშენდნენ ცეცხლს აფხაზთა ქვედანაყოფები. 1992 წლის დეკემბრის დამლევს საქართველოს მთავრობამ სოხუმში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

6. 1992 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან მოყოლებული საბრძოლო მოქმედება აფხაზთა და ქართველთა ძალებს შორის მიმდინარეობდა ორ ძირითად რაიონში, სადაც გამოიკვეთა საომარი დაპირისპირების ხაზები. ფრონტის ერთ-ერთი ასეთი ხაზი გადის მდინარე გუმისთის რაიონში სოხუმის ჩრდილოეთით. მისი სიგრძე დაახლოებით 12 კილომეტრია; იგი გადის შავი ზღვის სანაპიროდან სოფელ ახაშენამდე. 9-დღიანი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელზეც ლაპარაკია მე-4 პუნქტში, ვრცელდებოდა [illegible] ექვსკილომეტრიან მონაკვეთზე შავი ზღვის აღმოსავლეთით მდინარე გუმისთის გაყოლებით გამავალი ამ კონფრონტაციის ხაზიდან. 1992 წლის ნოემბრის დამლევიდან მდინარე გუმისთის რაიონში იყო ინტენსიური სროლა, რომლის დროსაც გამოიყენებოდა არტილერია, მრავალლულიანი სარაკეტო დანადგარები, ნაღმსატყორცნები და ტანკები. გარდა ამისა, ორივე მხარე ნიადაგ ამაგრებდა თავის პოზიციებს ამ ხაზის გაყოლებით. ამასთანავე გახშირდა ცეცხლის დაშენა ამ რეგიონის მიმდებარე ადგილების, ახლომდებარე სოფლების და, კერძოდ, ქალაქ სოხუმისათვის. ორივე მხარის ცნობებით, არის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი. პრაქტიკულად ყოველდღიურად უშენდნენ ცეცხლს სამოქალაქო საცხოვრებელ რაიონებს, რაც იწვევს მსხვერპლთა რიცხვისა და ლტოლვილთა ნაკადების ზრდას.

7. იანვრის დამდეგს აფხაზთა ჯარებმა პირველად მიაღწიეს წარმატებას მდინარე გუმისთის რაიონში საქართველოს საზღვარზე შეტევითი ოპერაციის დროს. როგორც იუწყებოდნენ, აფხაზთა ქვედანაყოფებმა ხელში ჩაიგდეს სოფლის ნაწილი, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ისინი უკუაგდო ქართველთა მხარემ მდინარის მეორე ნაპირზე. იანვრის შუა რიცხვებში აფხაზთა ჯარებმა მოიმოქმედეს მორიგი თავდასხმა შავი ზღვიდან, რისთვისაც გამოიყენეს მძიმე ტყვიამფრქვევებითა და სარაკეტო დანადგარებით აღჭურვილი მცირე კატარღები. მაგრამ წარმატებით ვერ დაგვირგვინდა ვერც ეს ცდა — გადაესხათ შეზღუდული რიცხოვნობის ქვედანაყოფები საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

8. აქტიური საბრძოლო მოქმედება მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქებს ოჩამჩირესა და ტყვარჩელს შორის მდებარე რეგიონში. ამ მთაგორიან რაიონში ფრონტის ხაზი ზუსტად არ არის მონიშნული. ადგილმდებარეობის რელიეფი ხელს უწყობს პარტიზანულის მსგავს საომარ მოქმედებას. ქართველთა მხარემ კონტროლი დაუწესა ქალაქ ოჩამჩირის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე რაიონს, რომელიც განლაგებულია დაახლოებით 55 კილომეტრზე სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვაზე. ქართველები აგრეთვე კონტროლს უწევენ სანაპიროს ოჩამჩირესა და მდინარე კოდორს შორის, რომელიც დაახლოებით 20 კილომეტრზეა სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აფხაზთა ჯარები, თავის მხრივ, კონტროლს უწევენ ოჩამჩირის რაიონის სანაპიროს აღმოსავლეთით. სახელდობრ, რაიონს ოჩამჩირიდან ქალაქ ტყვარჩელის მიმართულებით.

9. სოფელი ტამიში, რომელიც დაახლოებით 10 კილომეტრზეა ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთით, აღმოჩნდა მიმდინარე საბრძოლო მოქმედების ცენტრში, რომლის მიზანია კონტროლი დაუწესონ ზღვისპირა გზას, განსაკუთრებით კი რკინიგზას, რომელიც აფხაზეთს აკავშირებს თბილისთან, საქართველოს დედაქალაქთან. 1992 წლის დეკემბრის დამდეგს ამ რაიონში გააქტიურდა საბრძოლო მოქმედება, და ორივე მხარე ამტკიცებდა, რომ მათ დაიწყეს შეტევითი ოპერაცია, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო მიეღწია არსებითი ტერიტორიული შენაძენისათვის. ამასთანავე აფხაზთა ჯარებმა რამდენჯერმე მოახერხეს მოეწყვიტათ საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებული გზები, ზღვისპირის გაყოლებით.

10. 1993 წლის იანვრის პირველ ნახევარში ამ რაიონში კვლავ შეიმჩნეოდა საომარი მოქმედების აქტივიზაცია. გვესახება, რომ ქართველთა ჯარმა წარმატებით გააფართოვა თავისი კონტროლი (რამდენიმე კილომეტრით) სანაპიროზე ოჩამჩირესა და მდინარე კოდორს შორის.

11. იყო ცნობები საბრძოლო მოქმედების რაიონებში საზენიტო რაკეტების უფრო აქტიური გამოყენების შესახებ. იუწყებოდნენ, რომ ორივე მხარემ მიიღო თავის განკარგულებაში „მიწა-ჰაერის" კლასის რაკეტები, რის შედეგადაც ჩამოაგდეს საქართველოს ორი ვერტმფრენი. გარდა ამისა, ჩამოგდებულია რუსეთის ერთი სამხედრო ვერტმფრენი, აგრეთვე რუსეთის თვითმფრინავი „სუ-25".

12. განსაკუთრებით სერიოზული ინციდენტი მოხდა 1992 წლის 14 დეკემბერს, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე კატასტროფა მოუვიდა რუსეთის ვერტმფრენს, რის შედეგადაც დაიღუპა დაახლოებით 60 კაცი, ძირითადად ქალები და ბავშვები. მიზეზები, რომლებმაც ეს ინციდენტი გამოიწვიეს, კვლავინდებურად დაუდგენელია.

13. საქართველოს ხელისუფალთ არაერთგზის გამოუთქვამთ თავიანთი შეშფოთება იმის გამო, რომ აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფებიდან ზოგიერთი მხარს უჭერს აფხაზურ ძალებს. ამასთან დაკავშირებით ბატონმა შევარდნაძემ გააკეთა რამდენიმე საჯარო განცხადება და მოითხოვა, რომ აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარები დაექვემდებაროს რუსეთის შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უშუალო სარდლობას, რომლის შტაბიც თბილისში იმყოფება.

14. ქართველთა და აფხაზთა ძალები კვლავინდებურად ბრალს სდებენ ერთმანეთს აფხაზეთში ადამიანთა უფლებების სერიოზულ დარღვევებში. ორივე მხარემ ითხოვა გაიგზავნოს საერთაშორისო კომისია ამ ბრალდებათა გამოსაძიებლად.

მდგომარეობა ჰუმანიტარულ დარგში

15. საბრძოლო მოქმედებას, რომელიც წინანდელი ინტენსიურობით გრძელდება აფხაზეთში, შედეგად მოჰყვა ის, რომ აღნიშნული რეგიონის ათიათასობით მშვიდობიანი მცხოვრები ლტოლვილი გახდა, და შეიქმნა სერიოზული ჰუმანიტარული სიტუაცია კონფლიქტის რაიონებში, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ზამთრის პირობები. მოვიდა ცნობები, რომ აფხაზეთის ზოგიერთ ნაწილში შეიქმნა საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაცია, განსაკუთრებით აფხაზეთის კონტროლს დაქვემდებარებულ, მაგრამ ქართველთა ძალების მიერ ბლოკირებულ ქალაქ ტყვარჩელის რაიონში, რომლის მოსახლეობა გაიზარდა მრავალი ლტოლვილის ჩამოსვლის შედეგად.

16. საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორი თანამდებობის პირი ეწვია ტყვარჩელის რაიონს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლის თანხლებით. მათ აცნობეს, რომ უაღრესად საჭიროა ჩაიტანონ ამ რაიონში კვების ძირითადი პროდუქტები, სამედიცინო დანიშნულების საქონელი და საზამთრო ტანსაცმელი. რუსეთის ფედერაციამ წამოაყენა წინადადება გაგზავნოს ამ რაიონში საგანგებო წესით სურსათი, რომელსაც რუსეთის ქალაქ სოჭიდან გადაიტანენ ტყვარჩელში წითელი ჯვრის საცნობნიშნიანი რუსეთის ვერტმფრენები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნა თხოვნა განიხილოს ამ რაიონში მეთვალყურეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მივლინების შესაძლებლობა, რათა კონტროლი გაუწიონ კვების პროდუქტების დატვირთვას, ტრანსპორტირებასა და გადმოტვირთვას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის დროებითი წარმომადგენლობა სასწრაფო წესით განიხილავს ამ საკითხს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, და, როგორც მოელიან, წარუდგენს კონკრეტულ წინადადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებს.

17. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის თხოვნით, 1993 წლის იანვრის დამლევს საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში ჩავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია ჰუმანიტარულ მოთხოვნილებათა შესაფასებლად. ამ მისიის შემადგენლობაში, რომლის საქმიანობის კოორდინაციას განახორციელებს ჰუმანიტარულ საკითხთა დეპარტამენტი, შევლენ აგრეთვე იუნისეფის, და სხვა უწყებათა წარმომადგენლები.

უკანასკნელი მოვლენები

18. საბჭოსთვის ჩემი უკანასკნელი მოხსენების წარდგენის შემდეგ მე მივიღე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ორი წერილი. 1992 წლის 11 ნოემბრის წერილში ბატონმა შევარდნაძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ კონფრონტაციამ აფხაზეთში უფრო მწვავე ხასიათი შეიძინა და მატულობს მსხვერპლთა რიცხვი. ბატონმა შევარდნაძემ აგრეთვე დასძინა, რომ ცოტა დრო რჩება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. აქედან გამომდინარე, მან დაბეჯითებით მოუწოდა უშიშროების საბჭოს მიიღოს ზომები აფხაზეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების მხარდასაჭერად (იხ. S/24802).

19. 1992 წლის 25 დეკემბრის წერილში ბატონმა შევარდნაძემ დიდი შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაციას შეიძლება მოჰყვეს მდგომარეობის დესტაბილიზაცია მთელ კავკასიის რეგიონში. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის კავკასიის რეგიონის ჩრდილოეთიდან არარეგულარულ ფორმირებათა შემოღწევა და სამხედრო მიწოდება აფხაზთა ძალების მხარდასაჭერად კვლავინდებურად გრძელდება. ბატონმა შევარდნაძემ კვლავ გვთხოვა შევიტანოთ აფხაზეთის კონფლიქტის საკითხი უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში, და, კონფლიქტის ესკალაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, წამოაყენა წინადადება განხილულ იქნეს იგი საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე. მან განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ შესაძლოა მოისურვოს მიიღოს რეზოლუცია, რომელიც, კერძოდ, გაითვალისწინებს აფხაზეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი ხელშემწყობი ძალების გაგზავნას, გარდა ამისა, მან საჭიროდ ცნო, უშიშროების საბჭომ მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და მოუწოდოს არ დაუშვან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის არავითარი ხელყოფა (იხ. S/25026).

20. თავისი 1992 წლის 25 დეკემბრის წერილში აღძრული საკითხების გადასაწყვეტად ბატონმა შევარდნაძემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიავლინა სპეციალური წარმომადგენელი ბატონი სანდრო კავსაძე უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესთან და წევრებთან, აგრეთვე სამდივნოს თანამდებობის პირებთან კონსულტაციების გასამართავად შესაძლო მომავალი ნაბიჯების თაობაზე, რომელიც უნდა გადადგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობიანი პროცესის განახლების მხარდასაჭერად, აგრეთვე საბჭოს სხდომებზე ამ საკითხის განხილვის დასაჩქარებლად. ბატონი შევარდნაძის წერილის თანახმად სპეციალურმა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა დაინტერესებულია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფრო აქტიურად მონაწილეობდეს მშვიდობიანი პროცესის გამოცოცხლებაში.

21. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამდებობის პირებთან საუბრების დროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ყურადღება მიაპყრო შემდეგს: 1) საქართველოს მთავრობას სურს განაახლოს მშვიდობიანი პროცესი 3 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე და მზად არის დათანხმდეს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას იმ პირობით, თუ აღდგება სტატუს-კვო აფხაზთა 1992 წლის 1 ოქტომბრის თავდასხმამდე; 2) საქართველოს მთავრობა გამოთქვამს სურვილს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოავლინოს თავისი მეთვალყურენი (მშვიდობის ხელშემწყობი ძალები) იმ მიზნით, რომ თვალყური ადევნონ აფხაზეთში საქართველო-რუსეთის საზღვარს და აფხაზეთში რკინიგზისა და მიმოსვლის გზათა დაცვას. მოცემული კონტექსტით საქართველოს თანამდებობის პირებმა აღნიშნეს, რომ ამ სატრანსპორტო მაგისტრალის კვლავ გახსნა მნიშვნელოვანწილად შეესაბამება აგრეთვე სომხეთის ინტერესებს; 3) საქართველოს მთავრობა მიესალმებოდა გენერალური მდივნის კეთილ ნებას აფხაზეთის პრობლემის შესასწავლად და რეკომენდაციების გამოსატანად მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. საქართველოს მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას შეასრულოს ეს რეკომენდაციები იმ გაგებით, რომ ისინი უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, აგრეთვე საქართველოს ყველა მოქალაქის ადამიანის უფლებათა ყველა პატივისცემას.

შენიშვნები

22. 1992 წლის 10 ნოემბრის საბჭოსათვის ჩემი წერილის წარდგენის შემდგომ პერიოდში მდგომარეობა აფხაზეთში კიდევ უფრო გაუარესდა. მიმდინარე საბრძოლო მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას კავკასიის მთელ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ. 1992 წლის ნოემბრის დამდეგს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის ძალებს შორის ეთნიკურმა შეტაკებათა აფეთქება, რომელიც პრეზიდენტ ელცინის მიერ დროებითი საგანგებო მდგომარეობის შემოღების მიზეზი გახდა, ერთხელ კიდევ მოწმობს კავკასიაში პოტენციური აფეთქების მომასწავებელი სიტუაციის არსებობას. როგორც მე უკვე აღვნიშნე საბჭოსადმი ჩემს უკანასკნელ მოხსენებაში, თუ ეს სიტუაცია არ მოგვარდა, ერთობ დიდია მსხვილი კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა.

23. 3 სექტემბრის შეთანხმება კვლავინდებურად წარმოადგენს მშვიდობიანი პროცესის განახლების საუკეთესო საფუძველს. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში სიცოცხლისუნარიანი მშვიდობიანი პროცესის აღდგენამ 3 სექტემბრის შეთანხმების დებულებათა საფუძველზე შეიძლება მოითხოვოს კიდევ უფრო აქტიური მხარდაჭერა საერთაშორისო გაერთიანების მხრივ, რათა ხელი შეუწყონ მხარეთა მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევას და პოლიტიკური მოწესრიგების გზების შემუშავებას.

24. სწორედ ამ მიზნით განვიხილავთ საქართველოში ახალი მისიის მოვლინების შესაძლებლობას აფხაზეთში არსებული მდგომარეობის მიმოხილვისათვის, რათა მოვახდინოთ ზოგადი პოლიტიკური სიტუაციის შეფასება. ამ მისიის ფარგლებში შეიძლებოდა აგრეთვე გვემსჯელა და წარმოგვედგინა რეკომენდაციები პრაქტიკულ საკითხებთან მიმართებით. მათ შორის ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და კონტროლი მისი დაცვისადმი, ამასთან საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის აფხაზეთის საზღვარს, აგრეთვე რკინიგზისა და მიმოსვლის გზათა დაცვას აფხაზეთში. მე შესაძლოა აგრეთვე გავგზავნო აფხაზეთში მისია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ფაქტების დასადგენად, იმ მიზნით, რომ გამოვიკვლიოთ განცხადებანი ორივე მხარის მიერ ადამიანის უფლებათა ვითომდა დარღვევის შესახებ. თუ უშიშროების საბჭო მხარს დაუჭერს ამ მოქმედების კურსს, მე გადავდგამ ამ ნაბიჯებს, როგორც კი ეს პრაქტიკულად გახდება შესაძლებელი.

ედუარდ შევარდნაძე: ომის გაგრძელება აფხაზეთში იმათ აძლევს ხელს, ვინც მისი პროვოცირება მოახდინა და იგი თავს მოგვახვია

(დასასრული)

სხე ვართ დამოუკიდებული. მერე, როცა ჩვენს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ურთიერთობებს ასეთი ბაზა ექნება, მაშინ უკვე შეიძლება დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი. ამიტომ რაც უფრო დაჩქარდება ამ ბაზის შექმნა, ზემოთ რომ ვლაპარაკობდი, ჩვენთვის მით უკეთესი იქნება. ის რაც, თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან გაკეთდა, ეს აუცილებელია რუსეთთანაც მოხდეს.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მიმართ არც თუ ერთგვაროვანი დამოკიდებულება სულაც არ მიკვირს. იმასაც გაგებით ვეკიდები, როცა რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის „მძიმე გაკვეთილებს" შეგვახსენებენ, რადგან ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ყოველივე, რაც გვინახავს, მაგრამ კარგიც რომ იყო, ისიც არ უნდა დავკარგოთ. ახლა ცალმხრივი ინტერესები უნდა გამოვრიცხოთ. მე არ გავურბივარ პასუხისმგებლობას და ისეთ დოკუმენტს არ მოვაწერ ხელს, რომელიც ჩვენს ინტერესებს შელახავს და ვნებას მოაყენებს, ეს ყველამ უნდა იცოდეს.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. მან აღნიშნა, რომ გაერო და მისი გენერალური მდივანი დიდი ყურადღებით ეკიდებიან ამ პრობლემას, მაგრამ მაინც, მე არ მიმაჩნია, რომ გაერო [illegible] საერთაშორისო ორგანიზაციაა. თუ რატომ, ამის შესახებ ბევრჯერ მითქვამს და აღარ გავიმეორებ, — დასძინა მან. მაგრამ მის წესდებაში ბევრი ისეთი რამ არის ჩადებული, რომ იბადება აზრი, თითქოს აი გამოჩნდება ვინმე გაეროდან, ჩამოვა, ნახავს და ყველაფერი მოგვარდება და გადაიჭრება. ვიმეორებ, ეს ასე არ ხდება. თუმცა მათი ჩამოსვლა, ამას ხაზგასმით ვამბობ, ერთ-ერთი დიდი ფაქტორია იმისათვის, რომ ყველაფერი მოვაწესრიგოთ, ოღონდ აუცილებელია მათთან ერთად ჩვენც ავამოქმედოთ ყველა ფაქტორი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ცეცხლის შეწყვეტას, მოლაპარაკებას, რუსეთის ფაქტორის ჩართვას. ჩამოსული დამკვირვებლები კი დაგვეხმარებიან, რომ საერთაშორისო აზრი იყოს ჩვენს მხარეს.

ახლა გაისმის ხმები, თითქოს ხელისუფლება იყოს დაინტერესებული აფხაზეთის ომის გაჭიანურებით და ჩვენი შვილების ხოცვით. ასეთი ბრალდება ხომ სრული უაზრობაა, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — უნდა შეგვეძლოს თეთრის და შავის გარჩევა. აფხაზეთში ომის გაგრძელება იმათ აძლევს ხელს, ვინც მისი პროვოცირება მოახდინა და ეს ომი თავს მოგვახვია. მე ბევრჯერ ვთქვი, რომ ეს არის სეპარატისტ-ექსტრემისტთა ჯგუფი, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება. თუ ვინ უმაგრებს მათ ზურგს, არც ეს უნდა იყოს ძნელი ამოსაცნობი. ეს ის ხალხია, დემოკრატიას რომ ებრძვის რუსეთში და ამით ცხადია ებრძვის რუსეთის პრეზიდენტსაც. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენც გვაქვს იმის ბერკეტები, რომ ამ ომის ღირსეულად დამთავრება დავაჩქაროთ. ამის პერსპექტივას თვით აფხაზ მამულიშვილთა პოზიციაც ქმნის. მაგალითად, მე მოქალაქეობრივ გმირობად მიმაჩნია ის მიმართვა, რომელიც ცნობილმა აფხაზმა საზოგადო მოღვაწეებმა გაუგზავნეს გაეროს გენერალურ მდივანს და რუსეთის პრეზიდენტს. ჩვენს ურთიერთობას მომავალში ამ ადამიანების პოზიცია განამტკიცებს და გააღრმავებს.

24-26 თებერვალს სტამბოლში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეთა მოსალოდნელი შეხვედრის ირგვლივ საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსი ჯერ მხოლოდ ჩანასახშია, მაგრამ მას დიდი მომავალი აქვს და ამის საფუძველი საერთო ეკონომიკური ინტერესები იქნება. როცა ვნახავთ, რომ ეს ურთიერთობა სასარგებლოა, პერსპექტივა ცხადია უფრო გაიზრდება და იგი კონფლიქტების აღმოფხვრის დიდ წანამძღვრებსაც შექმნის. ჩვენ სხვა ხალხებისაგან კი განვსხვავდებით, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — მაგრამ იგივე გვჭირს, რაც სხვებს, რომლებიც დამოუკიდებლობის გზას ადგანან, ჩვენ ჯერ არა ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, რადგან ახლა ვეძებთ იმის გარანტიებს, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოს სჭირდება და უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ამ პრობლემისადმი გულუბრყვილო, პრიმიტიული და ზოგჯერ უვიცი მიდგომა სჭარბობს. ერთმა უცხოელმა ამას შუასაუკუნებრივი დონე უწოდა. ნუ გაგვიკვირდება. ეს ყველასათვის არის დამახასიათებელი, ვინც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაადგა დამოუკიდებლობის გზას. ეს ეხება 15 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას და იუგოსლავიას. მაიმედებს ის, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ ჩვენი კონსოლიდაციის პროცესი ადრე დაიწყო. ეს არჩევნებმა დაგვანახა. მაგრამ, ამჩნევთ ალბათ, ვიღაცას მაინც დაჟინებით სურს განაახლოს ძველი პროცესები, როგორმე გაატაროს გათიშვის ხაზი და ამ მხრივ საფიქრალი გვაქვს, მაგრამ საშიში არაფერი გვჭირს.

ინტერვიუს დროს სახელმწიფოს მეთაურმა ხალხს მიულოცა დავით აღმაშენებლის დღე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავი, თქვა, რომ დავით აღმაშენებელზე განვლილი 70 წლის მანძილზეც ბევრი რამ თქმულა, კონსტანტინე გამსახურდიამ შესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნა მას, იყო მოწიწებაც და სიამაყეც, მაგრამ მის ნამოღვაწარს დღეს სხვანაირად უნდა შევხედოთ. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება წარსულის ანალიზი. რაც შეცდომები დაგვიშვია, აღარ უნდა გავიმეოროთ, ამიტომ ჩვენს წარსულს ხშირად უნდა ჩავუღრმავდეთ, რადგან აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი ჩვენი მომავლისა. ჩვენ ამჟამად ის წარსული გვაინტერესებს, რომელიც მომავლის მშენებლობაში გვეხმარება. ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტიც ამ მომავლის მშენებლობის დამხმარე მეგზურია.

ინტერვიუს დასასრულს სახელმწიფოს მეთაური, როგორც ყოველთვის, კვლავ დაუბრუნდა ქვეყანაში წესრიგის დაცვის პრობლემებს. მე მინდა ვაღიარო, — განაცხადა მან, — რომ ვერ გავაკეთე ის, რასაც ხალხს დავპირდი. ეს ჩემთან ერთად ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ახალი მინისტრი იქნება, თუ ძველი, ეს ეხება თავდაცვის სამინისტროს, ეს ეხება ყველას, ვისაც ქვეყანაში წესრიგის დაცვის საქმე აკისრია. ჩვენ ამ პრობლემის ირგვლივ კვლავ ვაპირებთ სერიოზულ საუბარს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოზე. ქალაქის მერიის სამსახურებთან შეხვედრის დროს და საკითხი ასე დგება, ან უნდა გავაკეთოთ ეს საქმე, ანდა ქუდი უნდა დავიხუროთ, წავიდეთ, რომ სხვებმა გააკეთონ. ესეც ხომ კრედიტებთან არ არის დაკავშირებული, არ მესმის, რატომ ვაპარპაშებთ მაფიას...

მე პირობა უნდა მივცე ხალხს, რომ ამ საქმეს მივხედავთ. ეს აუცილებელია, რადგან გამოცოცხლება ეტყობა ჩვენს ეკონომიკას და წესრიგი ამ პროცესს დააჩქარებს, — თქვა დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

მთელი რეზერვები — საქმეში!

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

5 თებერვალს გაიმართა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სხდომა. მის დღის წესრიგში პირველ პუნქტად იყო შეტანილი საკითხი რესპუბლიკის 1993 წლისათვის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის პროგნოზის შესახებ, რომელიც წარმოადგინა ეკონომიკის სამინისტრომ. მან როგორც სარკეში, ასახა სამანეთო ზონაში ფასების შეუკავებელი ზრდის, საინფლაციო პროცესების გაძლიერების, საწარმოო კავშირურთიერთობის მოშლის ნეგატიური შედეგები, გვიჩვენა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის უპრეცედენტო დეფიციტის პირობებში საქართველოს ძალზე გაუჭირდება თავი დააღწიოს სულ უფრო გაღრმავებულ ეკონომიკურ კრიზისს. როგორც თენგიზ სიგუამ აღიარა, განსახილველად გამოტანილი პროგნოზი ეს არ არის არც გეგმა, არც დოკუმენტი, რომელიც იდეით უნდა დაუკავშირდეს ბიუჯეტს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდო სცენარი, რომლის მიხედვითაც უნდა იცხოვროს რესპუბლიკამ მიმდინარე წელს. ამიტომ, თქვა მან, ალბათ, მოგვიწევს ყოველ კვარტალში დავუბრუნდეთ ამ პროგნოზს, რათა გადავსინჯოთ იგი, დავაზუსტოთ შექმნილი ვითარებისდა მიხედვით.

ცხადია, რომ წარმოდგენილმა დოკუმენტმა არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. მაგრამ მთავარი, რაზედაც დაემთხვა ამ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრების აზრი, არის ის, რომ წელს საქართველოს წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა საგანგებო ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ: ერთი მხრივ, მოსახლეობის მინიმალურად საჭირო სოციალურ დაცვას და წანამძღვრების შექმნას მისი გაძლიერებისათვის, და მეორე მხრივ, — მოგვცემენ საშუალებას თავიდან ავიცილოთ ეკონომიკის სრული პარალიზება, ჩამოვაყალიბოთ სისტემური და სტრუქტურული საფუძვლები სტაბილიზაციის მიღწევისა და კრიზისიდან გამოსვლისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროგნოზი, უწინარეს ყოვლისა, ეფუძნება რესპუბლიკაში შიდაპოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას, რუსეთთან და ახლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებას, ორმხრივი ეკონომიკური კავშირურთიერთობის აღდგენასა და გამართვას, უცხოეთის ინვესტიციათა აქტიურ მოზიდვას, საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოცემული კრედიტების ეფექტიან გამოყენებას.

ბუნებრივია, რომ მიმდინარეობს შინაგანი რეზერვების ძიებაც. სხვათა შორის, ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება პრივატიზაციის პროცესში ინდექსირებული სახსრების ჩაბმის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ. რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის გაუმჯობესების, პრივატიზაციის დაჩქარებისა და მასში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმის მიზნით, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს მიეცათ უფლება შექმნან საინვესტიციო ფონდები მათთვის გაცემული ლიცენზიების საფუძველზე. ამასთან ერთად, მინისტრთა კაბინეტმა განიხილა რესპუბლიკაში მეფრინველეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების საკითხი, მიიღო დადგენილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ძირითად ფუნქციებს და მიზნად ისახავენ სათბობისა და ენერგეტიკის, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროების, ტურიზმის კომიტეტის მართვის სტრუქტურების სრულყოფას. მიზანშეწონილად ცნეს მომზადდეს ეროვნული მოხსენება 1993 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოში გარემოს მდგომარეობისა და ბუნებისდაცვითი საქმიანობის შესახებ. პასუხისმგებლობა ასეთი მოხსენების მომზადებისათვის დაეკისრა გარემოს დაცვის სამინისტროს, რომელმაც ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარმოადგინოს იგი. მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის წარდგინებით დამტკიცებულია საქართველოში მიმდინარე წლისათვის საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური თათბირების, კონფერენციების, სემინარებისა და სიმპოზიუმების გამართვის გეგმა.

მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადება მისი დროებითი სტრუქტურის შესახებ და აფხაზეთში სადღეისოდ შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, გადაწყვიტა იგი დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს. ამასთან აღინიშნა, რომ მომავალში, როცა აფხაზეთში გაიმართება არჩევნები და შეიქმნება უზენაესი საბჭო ან პარლამენტი, სწორედ იგი ჩამოაყალიბებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დროებით სტრუქტურაში შედის 16 სამინისტრო, სამი სახელმწიფო კომიტეტი, ერთი სამსახური.

რესპუბლიკის მთავრობას კვლავ მოუწია მიეღო არაპოპულარული გადაწყვეტილება. მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან შემოღებული იქნება რძის ახალი საცალო ფასები, რომლის ერთი ლიტრი, ცხიმიანობის მიხედვით, ეღირება 40-60 მანეთი. დროებით, ბუნებრივი გაზის სარეალიზაციო ფასის საბოლოო განსაზღვრამდე, გადაწყდა პირველი თებერვლიდან დაწესდეს ერთი კილოვატი ელექტროენერგიის ტარიფი მომხმარებლის ყველა კატეგორიისათვის, მოსახლეობის გარდა 10 მანეთის ოდენობით. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ მოსახლეობასაც უკვე თებერვლის დამდეგიდან უნდა გადაეხადა არა ერთი, არამედ სამი მანეთი ყოველი კილოვატისათვის. მაგრამ წლევანდელი სიცივის, აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელფასის, პენსიებისა და სტიპენდიის გადიდება ვერ ასწრებს ფასების ზრდას, გადაწყდა, რომ მოსახლეობა ელექტროენერგიისათვის გადიდებულ საფასურს გადაიხდის მხოლოდ მიმდინარე წლის პირველი მარტიდან. დაადგინეს აგრეთვე, რომ ბუნებრივი გაზის ახალი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრამდე „საქენერგოს" დეპარტამენტი „საქგაზის" დეპარტამენტთან ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზისათვის ანგარიშს გაასწორებს 20 ათასი მანეთის ოდენობით. და ბოლოს, საავიაციო სათბობისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფასების სისტემატური ზრდის გამო, მინისტრთა კაბინეტმა ნება დართო სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს, მისი ფაქტობრივი ხარჯებიდან გამომდინარე, ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით მოახდინოს მგზავრთა გადაყვანის ტარიფების რეგულირება 35 პროცენტამდე ზღვრული რენტაბელობის გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში სამკურნალწამლო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მწვავე დეფიციტმა განსაზღვრა კომერციული აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების ფართო ქსელის შექმნა. მაგრამ მათი უმრავლესობა ფუნქციონირებს მოქმედი კანონმდებლობის ძალზე უხეში დარღვევებით, რაც გამოიხატება მოსახლეობაში წამლების შესყიდვის, მათი დაცვა-შენახვისა და რეალიზაციის წესებისა და სანიტარიული ნორმების უგულებელყოფის ფაქტებით. ყოველივე ეს, თქვა სხდომაზე, საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას და მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამიტომ, რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მიღებამდე, მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა შემოიღოს სამკურნალწამლო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით ვაჭრობის დროებითი წესები. ისინი ითვალისწინებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია დადგენილი წესით რეგისტრირებული აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების ფუნქციონირება მათი უწყებრივი კუთვნილებისა და საკუთრების ფორმების მიუხედავად. მაგრამ მოსახლეობას ყველა სახეობის წამლები და მედიკამენტები უნდა მიჰყიდონ იმ აფთიაქებმა და სააფთიაქო მაღაზიებმა, რომლებსაც აქვთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლიცენზია. ამავე დროს, აკრძალულია სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობა მაღაზიებში, ნებისმიერი საკუთრების არასააფთიაქო ტიპის ფარდულებში, ბაზრობებზე, ქუჩებსა და სხვა ადგილებში. მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება, ითვალისწინებს აგრეთვე წამლებითა და მედიკამენტებით ვაჭრობის წესების განმსაზღვრელ სხვა ღონისძიებებს.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

სიტყვა პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს

სიხარული და მწუხარება ერთად დადიან

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის აგრარული კომისიის თავმჯდომარე ბატონი რონ ლიპარტელიანი

სოფელი კახურა გოლდაში [illegible] ფერდობზეა გაშენებული. მას ამომავალი მზის პირველი სხივები ეცემა. ლენტეხის რაიონის ამ პატარა სოფელში 1951 წელს ვასილ ლიპარტელიანის მრავალშვილიან ოჯახში ბიჭი დაიბადა, რომელსაც რონი დაარქვეს. მან აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდგომ უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა...

1974 წელს ერთდროულად, წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და პატენტმცოდნეობის ინსტიტუტები. საგულისხმოა, რომ ამავე დროს იგი ჟურნალისტის პროფესიასაც დაეუფლა, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდა: 1978 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, შარშან კი უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურა. ამჟამად, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

რონ ლიპარტელიანი სამოცდაათიან წლებში ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. დასახელებული იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად.... შემდგომ მას ირჩევენ საქართველოს გლეხთა პარტიის თავმჯდომარედ, მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტად, ხოლო როცა ისინი გაერთიანდა და მათ ბაზაზე შეიქმნა სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, მის თავმჯდომარედაც რონ ლიპარტელიანი აირჩიეს ერთხმად. ასევე ერთსულოვანი იყვნენ პარლამენტის წევრებიც, როდესაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი რონ ლიპარტელიანი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აგრარული კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს ინტერვიუც ამ გარემოებამ გვიკარნახა.

— ბატონო რონ, გილოცავთ ამ მეტად პასუხსაგებ თანამდებობაზე არჩევას.

— მადლობელი ვარ. თუმცა, გულახდილად გეტყვით, თავიდან ვფიქრობდი, რიგითი პარლამენტარი ვყოფილიყავი. მაგრამ რაკი ჩემმა კოლეგებმა ასეთი დიდი ნდობა გამომიცხადეს, უარის თქმის უფლება არ მქონდა. ახლა სხვა გზა აღარა მაქვს, უნდა გავამართლო. მთელი ძალ-ღონით უნდა ვეცადო, რომ პარლამენტს ჩემზე დამყარებული იმედები არ გაუცრუვდეს. გავაკეთებ მხოლოდ მამულისა და ქართველი ადამიანის სიყვარულის დამამტკიცებელ საქმეს: საქართველოს ყოველ დღეს დავინახავ მხოლოდ ისეთს, როგორიც იგი სინამდვილეში იქნება.

— თქვენი სიტყვები პარლამენტის ფიცივით გაისმის...

— რა არის ამაში ცუდი. პრეზიდენტები დებენ ფიცს და რატომ არ შეიძლება, პარლამენტარმაც დაიფიცოს?

— წინასწარ გრძნობდით, რომ კომისიის თავკაცად აგირჩევდნენ, თუ ეს თქვენთვის მოულოდნელი იყო? თქვენი აზრით, რატომ მაინც და მაინც თქვენზე შეაჩერეს არჩევანი?

— როცა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომისიის თავმჯდომარეებს ირჩევდნენ, ყველაზე დიდი „კონკურსი" აგრარული კომისიის თავკაცობაზე იყო. თავიდან პრეტენზიას 12 დეპუტატი აცხადებდა, მაგრამ ეს რაოდენობა ჯერ შვიდამდე შემცირდა, შემდეგ სამამდე. ბოლოს კი „კონკურსს" ორიღა შემოვრჩით და, როგორც ხედავთ, გამარჯვება მე მხვდა წილად. ამდენად, აგრარული სფერო ჩემთვის ხომ აქამდეც უმთავრესი იყო, ახლა კი უფრო პრიორიტეტული გახდა.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის საახალწლო წერილში ბრძანა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მოშლილიაო... ესე იგი, თქვენ საკმაოდ გაპარტახებული მემკვიდრეობა მიიღეთ, არ გაფიქრებთ ეს მდგომარეობა?

— მართლაც და, ფინანსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აგრარული სფეროს აწყობასა და აღდგენას ძალიან დიდი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია დასჭირდება. აბა, ამ ციფრებს დაუკვირდით: შარშან, წინა წლებთან შედარებით, განებივრებული, უქნარა ხელმძღვანელების „წყალობით" მარცვლეულის წარმოება 26 პროცენტით შემცირდა. კარტოფილისა — 27, ბოსტნეულისა — 26, ეთერზეთებისა — 41, ყურძნისა — 29, ხილისა — 31, ხორცისა — 28, მათ შორის ფრინველის ხორცისა — 77, კვერცხისა — 20, მატყლისა — 20 პროცენტით... რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა.

ამ და სხვა მიზეზების გამო, დღეს საქართველო საერთო კრიზისმა მოიცვა. შიმშილის აჩრდილი რეალური გახდა. საქართველოს ეკონომიკის მთავარი დარგი — აგრარული სექტორი სულს ღაფავს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ბოლო სამი გაზაფხული თითქმის მოიშრიტა. მარტო საშემოდგომო კულტურები არ დათესილა 60 ათას ჰექტარზე.

— ეს რომ სტალინის დროს მომხდარიყო, მავნებლობის იარლიყს მიაკერებდნენ და...

— სწორეც იქნებოდა. ვინც უნდა იყოს, მიწის მოცდენა არ უნდა ეპატიოს. არადა, ისინი, ვინც მიწას ასე მტრულად მოექცნენ, დღეს ისე გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში, თანაც თავიანთ დანაშაულს უსირცხვილოდ სხვას აბრალებენ და კვლავაც თბილ სავარძლებში ნებივრობენ.

გული დაგეწვება კაცს: შარშან, მინდორში დარჩა ათასობით ტონა პამიდორი, ხახვი, კომბოსტო, სუფრისა და შაქრის ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ხილი, ციტრუსები და სხვა პროდუქტები. ჩვენი ეგრეთ წოდებული ბიზნესმენები კი სხვა ქვეყნებში მამასისხლად ყიდულობენ უფრო მდარე ხარისხის პროდუქტებს და მერე ულმერთო ფასებით აყიდიბენ გაწამებულ მოსახლეობას და მათი უკანასკნელი, ნაცოდვილარი კაპიკებით ჯიბეს ისქელებენ. მოსახლეობას საბჭოთა საქართველოსდროინდელი აგრარული სექტორი სანატრელი გაუხდა. ჩემი აზრით, მკაცრად უნდა მოვკითხოთ მათ, ვინც ხალხი აქამდე მიიყვანა.

— ბატონო რონ, მზად ვიყავით მიწის პრივატიზაციისა და რეფორმებისათვის? როგორ გგონიათ, ხომ არ ავჩქარდით, ეს დალოცვილი მიწა სად გაგვექცეოდა? როგორ აფასებთ პრივატიზაციის დღევანდელ შედეგებს, ჩვენ ხომ ძალიან ბევრი ვიზარალეთ, ამ საქმეში მსახვრელი ხელი ხომ არ ურევია?

— საქართველოს რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ წინა ხელისუფლებას ერთ-ერთ დანაშაულად ის ჩაუთვალა, მიწის რეფორმას ამუხრუჭებდით, არ ჩქარობდითო... თვითონ კი ნაჩქარევი, მოუფიქრებელი და დაუზუსტებელი დადგენილებებით, უშველებელ ზარალთან ერთად სოფლად საშინელი ქაოსი შექმნა. კაცი კაცს გადაკიდა, საგვარეულო — საგვარეულოს, მეზობელი — მეზობელსა და სოფელი — სოფელს. ისინი ერთმანეთს აღარ ინდობენ, სული კბილით უჭირავთ, მალე ალბათ ხელჩართული ბრძოლა გაიმართება.

არადა, სადაც თადარიგიანად მიუდგნენ ამ საქმეს, თავსატეხიც ნაკლები ჰქონდათ. ჩინეთზე მოგახსენებთ, აქ მიწის პრივატიზაციით ქვეყანა კატასტროფისგან იხსნეს და ახლა ყოველი ჩინელი კმაყოფილია. შეიძლება ეწყინოს ვინმეს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჩინეთში პრივატიზაცია ჩვენსავით უთავბოლოდ არ დაუწყიათ. ამისათვის ხუთი წელი ემზადებოდნენ. მოიმარაგეს ტექნიკა, საწვავი, შხამ-ქიმიკატები, სასუქი. მთავრობამ დიდი რაოდენობით გასცა კრედიტი, მიიღეს შესაბამისი ძირითადი კანონები და რაც მთავარია, საგულისხმოდ მოეწყო მიწების პასპორტიზაცია. მოსახლეობამ წინასწარ იცოდა საპრივატიზაციო მიწების ნუსხა და ღირებულება. და როცა ყველაფერი მოაგვარეს, მაშინღა დაიწყეს მიწების განსახელმწიფოება. მათ მოკლე დროში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს. ჩვენ კი უფსკრულში ბეწვზე გაშხლართული აღმოვჩნდით. აზრის გამოთქმის დრო და საშუალებაც კი არავის მივეცით...

— გისმენთ და ასე მგონია, იცით ვინც არის დასასჯელი აგრარული სექტორის დაკნინებისათვის და დღეს თუ ხვალ სამართალში მისცემთ.

— ალბათ მაგის დროც დადგება, რაკი ვთქვით ა, უნდა ვთქვათ ბ-ც. ჯერჯერობით კი მუდმივი და ცხრა ქვეკომისიის მთელი შესაძლებლობა იმას უნდა მოვახმაროთ, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში ფეხზე დავაყენოთ თითქმის ყუაზე დასული აგრარული სექტორი. ამისათვის აუცილებელია რადიკალური რეფორმების გატარება, რომ ქვეყანა ნაწილობრივ მაინც ვიხსნათ შიმშილისაგან. რაც მთავარია ძლიერი ზურგი უნდა შევუქმნათ ომს, რომელიც აფხაზეთში მიმდინარეობს, არავის არ უნდა შევარჩინოთ ცუღლუტობა და ზურგის ფრონტიდან გაქცევა. საქართველოს თავისუფლებისათვის მეომარი მორალურად და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს. მტერთან მარტო თოფით ვერაფერს გავხდებით. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ჭუჭყიანი ხელებით სუფთა საქმე არ გაკეთდება. არადა, სამწუხაროდ, ჩვენს გარშემო ბევრია ხელებგასვრილი. ამიტომ, წინასწარ ვგრძნობ, ბრძოლა ორ ფრონტზე მოგვიწევს. ასე იქნება, თუ ისე. უპირველეს ყოვლისა, მიწების პრივატიზაციის დროს დაშვებული უმძიმესი შეცდომები, ხშირ შემთხვევაში კრიმინალურიც კი, უნდა აღმოვფხვრათ. აგრარული კომისიის წევრებმა ამ მიმართებით უკვე ბევრი რამ გააკეთეს და მათგან კიდევ უფრო მეტს მოველით. ჩვენ ამ საქმეში საგანგებოდ შერჩეული სპეციალისტები ჩავრთეთ.

— ჩანს აგრარულ კომისიას ძალიან ბევრი სამუშაო აქვს.

— ახლა მაინც იმდენია გასაკეთებელი, ზოგჯერ რომ დავფიქრდები, ვგრძნობ დღედაღამ მოგვიწევს მუშაობა. ჩამოთვლაც კი მიჭირს იმ საკითხებისა, რომლებიც კომისიის განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. ოღონდ, ისე არ გამიგოთ, თითქოს საქმის სირთულისა გვეშინოდეს. ერთი ასეთი სვანური ანდაზაა: „ადგილს მიჩა ფერიშ ლოქირდი". ესე იგი, — ადგილი თავის შესაფერს შობსო. მართლაც იმან გადაგვარჩინა და იმან მოგვიყვანა დღემდე, რომ ქართულ მიწას მუდამ თავისი შესაფერისი შვილები ყავდა.

— ყველას ჩამოთვლა მართლაც შეუძლებელია, მაგრამ მთავარ საკითხად მაინც რომელი მიგაჩნიათ?

— ყველა მთავარია, რომელიც დედამიწასთან არის დაკავშირებული. დღეს სადავო აღარ არის, რომ მხოლოდ მიწის სწორი რეფორმა და მისი ყაირათიანად გამოყენება გადაგვარჩენს. წელან მოგახსენეთ, რომ ამ მიმართებით დიდი შეცდომებია დაშვებული და თითქმის გლობალური პრობლემების წინაშე ვართ. ეს კარგად ჩანს თუნდაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაშიც, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. დადგენილებაში იმდენი ნაკლოვანებაა ჩამოთვლილი, რომ მათი აღმოფხვრა ერთი ხელის მოსმით ვერ მოხერხდება. ამისათვის დროა საჭირო, როგორც ამბობენ, — დრო და შრომა თუთის ფოთოლს აბრეშუმად აქცევს...

— ბატონო რონ, თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, პარლამენტის სესიაზე განსახილველად, რომელი კანონ-პროექტი გაქვთ მზად.

— მართალია, მცირე დრო გავიდა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მუდმივი კომისიები დაამტკიცა, მაგრამ საქმე მაინც საკმაოდ ბევრი გაკეთდა. აგრარულმა კომისიამ დღეისათვის ძალზე საჭირო დოკუმენტები მოამზადა. ესენია: — „საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ახალი ვარიანტი", კანონ-პროექტები: „საქართველოს რესპუბლიკაში სოფლისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულობის შესახებ", „მიწის კერძო საკუთრების შესახებ" და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აგრარულ კომისიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს და ნაყოფიერად თანამშრომლობს ფრაქცია „აღორძინებასთან". მალე დავამთავრებთ მუშაობას მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტზე, ეს არის „სოფლის სტატუსი". იგი ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი სასიცოცხლო არტერია იქნება, მას შემდეგ, რაც ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მიიღებს.

— ორიოდე სიტყვით ხომ არ გვეტყოდით, როგორი წარმოდგენისა ხართ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაზე, სწორი გზით მიდის იგი? ხომ არ ყოფილა ავტორიტარული გამოვლინებები. ყველა დეპუტატი ღირსია იმისა, რომ პარლამენტარის სახელი ატაროს?

—ძალიან კარგად ვიცნობდი წინა უზენაესი საბჭოს შემადგენლობას. იმასთან შედარებით დღევანდელი პარლამენტი უფრო ძლიერი და აკადემიურია. თუმცა აქ იმ საბჭოს წევრებიდან ბევრს ვხედავ. თუ ხალხი უკმაყოფილოა პარლამენტისა და მის მუშაობაში ხარვეზებს ხედავს, გარწმუნებთ, ეს დროებითია.

რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს ალბათ დამეთანხმებით, რომ უნაკლო არავინ და არაფერია, ამბობენ, ლაქები მზესაც აქვსო. რა არის დასამალი, ზოგიერთს ჯერ არა აქვს გამომუშავებული პარლამენტური მოღვაწეობის გამოცდილება, ჩვევები, სათანადო სტილი, შრომის მეთოდები და ქცევის ნორმები. ყველაფერს ამას გზადაგზა ვსწავლობთ. ისე რომ, მოკლე დროში საქართველოს სანიმუშო, პროფესიონალი პარლამენტარები ეყოლება.

რაც შეეხება ავტორიტარიზმს — პარლამენტის მუშაობის დროს არ შემიმჩნევია.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თქვენ ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში ჩაებით. რამ გიკარნახათ, რატომ გადადგით ეს ნაბიჯი?

— ჩემი ერთი მოგვარე 1122 წელს არაბების 400-წლიანი მონობისაგან ქალაქ თბილისის გათავისუფლებისათვის დავით აღმაშენებლის გვერდით იბრძოდა. მე კი განგებამ ეროვნულ გმირს, სულმნათ მერაბ კოსტავას მიმაჯაჭვა და მასთან ერთად საქართველოს ორსაუკუნოვანი მონობისაგან გათავისუფლებისათვის ვიბრძოდი...

— კაცმა რომ თქვას, თქვენ მოგვარეზე უფრო დიდ მასშტაბებში გაბედით და სხვებთან ერთად საკმაოდ დიდი ღვაწლიც დასდეთ საქართველოს...

— ჩემი პირადი ღვაწლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზოგიერთი უჭკუო ქართველის გამო კვლავ გამოჩნდა საფრთხე, რომელიც საქართველოს სრულ სუვერენიტეტსა და მომავალს ემუქრება. ამიტომ, ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. ერთი ჩათვლემა და, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავე ფეოდალიზმის ეპოქაში უდევს, წერტილი დაესმება, და ყველაფერი თავიდან დასაწყები გაგვიხდება.

ეს საფრთხე განსაკუთრებით რეალურია დღეს, როცა იმპერიული რუსეთისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. ადვილი არავის ეგონოს მომავალი ობობას ქსელიდან თავის დაღწევა. რუსები უსისხლოდ ყველა დამონებულ ქვეყანას გაუშვებენ, საქართველოს კი არა. ისე მაგრად ჩაგვეხუტეს, რომ ნეკნებს ჯერ ისევ ლაწა-ლუწი გაუდის. მათაც და სხვებსაც აფხაზეთთან თავისი ანგარიშები აქვთ. აბა მითხარით, როგორ გაჩნდა ამ ომში რუსული საბრძოლო იარაღი და ტექნიკა, ოფიცრები და რიგითები? თქვენ გგონიათ, რომ აქამდე არ შეიძლებოდა ამის აღკვეთა? ჰაი, ჰაი, რომ შეიძლებოდა, მაგრამ არ ისურვეს... ვინ იცის, კიდევ რის მოწმენი გავხდებით.

ისიც მათი ხრიკებია, რომ ახლა უკვე ზოგიერთები ენას ატარტარებენ და ყველანაირად ცდილობენ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დააკნინონ, მაგრამ არ გამოუვათ, რადგან ხალხმა კარგად იცის, ვინ ვინ არის და რით სუნთქავს. თანაც ისტორია ძალიან მკაცრი მეთვალყურეა.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ საქართველოს ისტორია დასაბამიდან დღემდე, თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ამ ცნებაზე მრავალი აზრია გამოთქმული, თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით — თქვენ როგორ განსაზღვრავთ თავისუფლებას?

— ამ შეკითხვას ცნობილი იაპონელი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის იანაგიდა კენძიუროს სიტყვებით ვუპასუხებ. იგი თავის ერთ-ერთ წიგნში წერდა: თავისუფლების პრობლემა — ეს არის მარადიული პრობლემა, რომელიც კაცობრიობის გაჩენისთანავე წარმოიშვა, და ამავე დროს, ეს არის ჩვენი სინამდვილის ყველაზე აქტუალური პრობლემა. თავისუფალი ადამიანი ხარობს სიცოცხლით, ხოლო როდესაც იგი თავისუფლებას კარგავს, ეკარგება სიცოცხლის ხალისიც და თავს საპყრობილეში გამოკეტილ ტუსაღად გრძნობსო...

დიახ, საპყრობილეში ვიყავით გამოკეტილი, მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფალ ერთა მძლე ძმურ კავშირში" ვცხოვრობდით...

— ამ ბოლო წლებში მაინც ყველა ჩვენგანის პირად ცხოვრებაში მრავალი უსიამოვნო ეპიზოდი დაგროვდა, თქვენ რომლებს გაიხსენებდით?

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ ლამის გაღიმებას გადავეჩვიეთ. ვინც ლამაზად იღიმებოდა, ეგეღარც ის ახერხებს. არადა, ქართული ბუნებისათვის გაყინული გამომეტყველება ისევე უცხოა, როგორც ხარისათვის ქოლგა. დაბოღმილები დავდივართ და სიძულვილის თვალით ვუმზერთ ერთმანეთს, ეს ან აზროვნების დეგრადაციაა, ან სულიერმა სიღატაკემ დაგვრია ხელი. სხვა წამყვან ქვეყნებში კი, რომლებსაც ხშირად ამა თუ იმ საკითხში დავიმოწმებთ ხოლმე, [illegible] — უარსაც ღიმილით ამბობენ.

უსიამოვნო, ცხოვრებისეული ეპიზოდები კი მართლაც საკმაოდ დაგვიგროვდა. უმრავლესობას ალბათ დროის მდინარე წაიღებს, ბევრიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გაგვყვება. მე პირადად არ დამავიწყდება, როცა [illegible]-ბინა ამიფეთქეს და [illegible] ნაცრად და ნანგრევებად აქციეს... ერთ დაწყევლილ დღეს კი სიკვდილის პირისპირ აღმოვჩნდი. ის იყო სახლიდან გამოვდიოდი, რომ ვიღაცამ მესროლა...

ბუნებრივია, დაგიბადათ შეკითხვა და, გატყობთ, არ დააყოვნებთ. ამიტომ აქვე დავძენ, რომ ჩემი მტრები არ მიძებნია, რომც მეპოვნა, სამაგიეროს მაინც არ გადავუხდიდი, რადგან ქრისტეს რჯულს ვერ ვუღალატებ, მე სუყველა მიყვარს. იმას სატანჯველად ისიც ეყოფა, რომ ცოდვილია. რას იზამ, ამ წუთისოფელში ყველას თავისი როლი აქვს და თავისებურად ირჯება. ზოგს ღვთიშობილი მართავს, ზოგს კი ეშმაკი. ერთი სიტყვით, უნდა შევურიგდეთ ცოდვილს, რამე თუ სისხლი სისხლით არ დაიბანება და ყველას თავისი გზით გაუმარჯოს. ღმერთი ყველაფერს ხედავს, ერთი ეგ არის, განაჩენი გვიან, მაგრამ უთუოდ გამოაქვს.

— ბატონო რონ, თუ გახსოვთ, ამას წინათ ერთ-ერთ საავადმყოფოში მობრძანდით და მომაკვდავს თქვენი სისხლი გადაუსხეთ. მე ამ ფაქტს შემთხვევით შევესწარი. იცნობდით იმ ავადმყოფს?

— ასეთი შემთხვევა 20-ზე მეტი მქონდა. მაინც რომელზე მეკითხებით?

— მაშინ თან ერთი მეგობარი გახლდათ, ხიძინას ეძახდით, გვარი კი...

— დიახ, დიახ, ალვიდგინე. არა, ავადმყოფს სულაც არ ვიცნობდი. ტელევიზორით გამოაცხადეს და, სიმართლე რომ გითხრათ, გულმა არ მომითმინა, სანამ იმ გაჭირვებულს არ დავეხმარე... ჩემი რატომ გაგიკვირდათ? აბა, ნახეთ, რამდენმა გაიღო სისხლი აფხაზეთში მებრძოლებისათვის...

ეს დალოცვილი წუთისოფელი რა უცნაურად არის მოწყობილი. ამას წინათ აფხაზეთში ბრძოლის ველზე მამა დაეცა. [illegible] არც სისხლი მოაკლეს, არც ფული, მაგრამ მაინც ვერ უშველეს. შინ კი მისი ბიჭი დაიბადა... ღიმილი და ცრემლი ერთმანეთში აირია...

— დასაბამიდან ასე იყო და ალბათ ასე იქნება. ამ ქვეყნად, ბატონო რონ, განსაკუთრებით კი საქართველოში, სიხარული და მწუხარება მუდამ ერთად დადიან.

საუბარს უძღვებოდა
როლანდ ბასილაშვილი.

აფხაზეთის ამბები

დიალოგი სოხუმის ყოფილ მერთან

იმ მიზნით, რომ მოგვარებულიყო ტყვარჩელში გაეროს ჰუმანიტარული დახმარების ვერტმფრენებით ჩატანის ზოგიერთი საკითხი, ახლახან სოხუმში ჩავიდა საქართველოს დელეგაცია. სხვებთან ერთად დელეგაციაში შედიოდა თბილისელი ტელეოპერატორი, ჟურნალისტი თამაზ პაიჭაძე.

— მსურდა მენახა სოხუმის ყოფილი მერი, — თქვა მან, როცა გაესაუბრა აფხაზთა ჯგუფს.

— მე ვარ სოხუმის ადმინისტრაციის მეთაური ნოდარ ხაშბა, — უთხრა მას ერთმა იქ მყოფთაგანმა. ჟურნალისტმა მას ჰკითხა: „როგორ შეგიძლიათ გულგრილად უყუროთ იმას, რომ თქვენი არტილერია ანგრევს სოხუმს? თქვენ ხომ თავს ამ ქალაქის მერად მიიჩნევთ!"

— არტილერია უშენს საბრძოლო დანადგარებს, — იყო პასუხი.

— აბა, რა საბრძოლო დანადგარებზეა ლაპარაკი! — უთხრა მას თამაზ პაიჭაძემ. — დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები. ჭურვები ფეთქდებოდა სამშობიარო სახლის, პოლიკლინიკის ტერიტორიებზე. ამ ცოტა ხნის წინათ ეს მოხდა მე-6 სკოლის ეზოში. თქვენ კარგად იცით ის ადგილი, როგორ შეიძლება ყოფილიყო იქ საბრძოლო დანადგარი? მაოცებს თქვენი პოზიცია. დამთავრდება ომი და მე ჩემთან, თბილისში დავბრუნდები, თქვენ კი უნდა იცხოვროთ ამ ქალაქში, აღადგინოთ ყოველივე ის, რაც ახლა აქ ინგრევა. ეს იოლი საქმე არ იქნება. თქვენ ხომ თავს სოხუმის მერად მიიჩნევთ, ჰოდა, ხალხიც პასუხს თქვენ მოგთხოვთ.

ნოდარ ხაშბას სახეზე უეცრად გაქრა დაძაბული გამოხედვა და მან ჩუმად ჩაილაპარაკა: „იქნებ, თქვენ მართალიც ხართ..."

თენგიზ ჯიბუტი.

ჰუმანიტარული აქცია განახლდა

სოჩი, 8 თებერვალი. (იტარ-ტასის კორ. ე. შიჩკოლევა). ჰუმანიტარული დახმარებით სავსე ხუთი ვერტმფრენი გაფრინდა დღეს სოჩიდან ტყვარჩელში, ბლოკირებულ ქალაქში ისინი შეიტანენ ოც ტონამდე ჰუმანიტარული დახმარების ტვირთს.

მორიგების აქციის განახლების შესახებ მიაღწიეს 7 თებერვალს გუდაუთასა და სოხუმში რუსეთის, აფხაზთა და ქართველთა მხარეების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრაზე. მათ განიხილეს ტყვარჩელში ჰუმანიტარული დახმარებით სავსე ვერტმფრენების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი. ყველა მხარემ დაადასტურა თავისი ვალდებულებანი წინათ მიღებული ოქმების მიხედვით.

ქართველთა და აფხაზთა მხარეები დათანხმდნენ ტყვარჩელიდან 18 წლამდე ბავშვების ევაკუაციაზე. იმავე საკითხი ლტოლვილთა გამოყვანისას ასაკობრივი ცენზის გაუქმების შესახებ, რადგან ხანში შესული ადამიანები უარს ამბობენ გაემგზავრონ ახლო ნათესავების გარეშე. კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან თავი შეიკავონ საბრძოლო მოქმედებისაგან ჰუმანიტარული აქციის განხორციელების პერიოდში.

კიდული ხიდი ყვირილაზე

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, წყალდიდობამ მდინარე ყვირილაზე ზესტაფონის რაიონიდან სოფელ სვირისა და ბალდათისაკენ გამავალ კაპიტალურ ხიდს შუა ბურჯი გამოაცალა და შეუძლებელი გახდა მისი შემდგომი ექსპლოატაცია.

ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით გადაწყდა დარჩენილი ორი ბურჯის ბაზაზე აეგოთ კიდული ხიდი, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის კონცერნ „საქავტოგზამ" ერთი მილიონი მანეთი გადაიხადა. ჭიათურის ბაგირგზების სამმართველოს, სოფელ სვირის მოსახლეობის და ზესტაფონის საგზაო-საწარმოო უბნის მეცადინეობით ხიდი უკვე აგებულია. მისი სიგრძე 58, სიგანე კი სამი მეტრია. მასზე უკვე მოძრაობენ მსუბუქი და სასწრაფო დახმარების ტიპის ავტომანქანები.

პარალელურად მიმდინარეობს კაპიტალური ხიდის მშენებლობა.

ჰენრი შარიქაძე.

დიდი დავითის დღეს

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 75 წლისაა

ეკა ლეჟავა

გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მოსამზადებელი კომისიის სხდომა. სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

ბატონმა ედუარდმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ ურთულესი პრობლემებისა, რომელთა წინაშეც ქვეყანა და რესპუბლიკის მოსახლეობა აღმოჩნდა, მაინც უნდა გამოინახოს შესაძლებლობა ამ თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის იყო მედროშე დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შექმნისათვის ბრძოლაში და იმედი გამოთქვა, რომ ეს მომავალშიც გაგრძელდება.

უნივერსიტეტის რექტორმა რონ მეტრეველმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ის სამუშაოები, რომლებიც ეძღვნება უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისთავს.

უნივერსიტეტი... იგი ყოველი ქართველის პატივისცემისა და მოწიწების საგანია. ძნელია გაიხსენო ყველა ის სახელი, საუნივერსიტეტო ცხოვრებას კვალი რომ დაამჩნია, — ჩვენ დღეს ყველა ქედს ვიხრით მათი ხსოვნის წინაშე, იმ წმინდა სახელების წინაშე, უნივერსიტეტის დამაარსებლად რომ შემორჩნენ საქართველოს ისტორიას.

გუშინ, 8 თებერვალს, 75 წელი შესრულდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან. ერის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღსანიშნავად თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა თსუ რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტმა, პროფესორმა რონ მეტრეველმა. სხდომას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ბატონი ბრაუნი, გერმანიის ელჩი საქართველოში გ. დალხოფი.

თავის მოხსენებაში ბატონმა რონ მეტრეველმა აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილს შემთხვევით არ დაუდგენია ქართული უნივერსიტეტის გახსნა 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს: ამით ხაზი გაესვა, რომ ახლადშექმნილი უნივერსიტეტი გელათისა და იყალთოს აკადემიის მემკვიდრე იქნებოდა, ქვეყნის ეროვნული ინტერესების გამომხატველი და დამცველი. მან ისაუბრა იმ პრობლემებზე და ამოცანებზე, რაც თბილისის უნივერსიტეტს აქვს დღესდღეობით. სამეცნიერო საბჭოს სახელით ბატონმა რექტორმა აღსაყდრებიდან 15 წლის და დაბადებიდან 60 წლის იუბილე მიულოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II. ასევე იუბილე მიულოცეს უნივერსიტეტის უხუცეს პროფესორ-მასწავლებლებს: ალექსანდრე ბარამიძეს, შოთა ძიძიგურს, ევგენი ხარაძეს, ვასილ ჩიქოლაძეს.

სხდომის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას.

სხდომაზე აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს გადაეცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია ნაშრომისათვის: „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა".

საუნივერსიტეტო პრემია გადაეცა ბატონ პარმენ ზაქარაიას ნაშრომისათვის: „ქართველი ხუროთმოძღვრება XI-XVIII საუკუნეებში".

დამსწრე საზოგადოებას სრულიად საქართველოს უნივერსიტეტის დაარსების დღე მიულოცა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. 75 წლის წინათ კათოლიკოსმა კირიონმა დალოცა ახლად დაარსებული უნივერსიტეტი, — ბრძანა მან. — და აი 75 წლის შემდეგ, დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს, მე ჩავატარე პარაკლისი საქართველოს მშვიდობისა და უნივერსიტეტის აღორძინებისათვის. რთულია მე-20 საუკუნე, რთული დრო განვლო უნივერსიტეტმა. გვახსოვს თუნდაც ის, რომ ამ საუკუნემ წარმოშვა ორი მსოფლიო ომი... დიდია წინ გადადგმული ნაბიჯები მეცნიერებასა და ტექნიკაში, მაგრამ ასევე დიდია უკან გადადგმული ნაბიჯებიც სულიერებისა და ზნეობის სფეროში. თბილისის უნივერსიტეტი ყოველთვის იყო სიკეთისა და სულიერების მატარებელი, იმ დროსაც კი, როდესაც ათეისტური პროპაგანდა მძვინვარებდა. ჩვენს უნივერსიტეტში ასწავლიდნენ ძველ ქართულ ლიტერატურას და ადამიანი, რომელიც ამას შეისწავლის, არ შეიძლება ათეისტი დარჩეს. მე ქედს ვიხრი ამ ტაძრის წინაშე, რადგან მან დიდი საქმე გააკეთა სულიერების შენარჩუნებაში. მაღალი ინტელექტი, მაღალი მეცნიერება და დიდი სულიერება — ეს გადაარჩენს საქართველოს.

პარლამენტის სახელით უნივერსიტეტს იუბილე მიულოცა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოიწონეს ხელშეკრულების რატიფიკაცია

„კარგი ახალი ამბავი" უწოდა ბელარუსიდან მიღებულ ცნობებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში ხუთშაბათს გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა: „ბელარუსის უზენაესმა საბჭომ მოახდინა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების პირველი ხელშეკრულების რატიფიკაცია და ხმა მისცა იმას, რომ შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას როგორც უბირთვო სახელმწიფო. შეერთებული შტატები მიესალმება ისეთ მოქმედებას, რომელიც კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯია ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების გზაზე. ჩვენ მოველით თანამშრომლობას ბელარუსთან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების პირველი ხელშეკრულების განხორციელებაში.

მინისტრის განცხადება

ურუსეთოდ შეუძლებელია უშიშროებისა და ურთიერთნდობის სისტემის აშენება ევროპაში. ეს განაცხადა პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ი. ონიშკევიჩმა, რომელმაც აქ პრეს-კონფერენცია გამართა კიევიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მან ხელი მოაწერა პოლონეთ-უკრაინის ხელშეკრულებას სამხედრო დარგში თანამშრომლობის შესახებ. მინისტრმა უპასუხა კითხვებს, რა ურთიერთობაა ამ სფეროში რუსეთის ფედერაციასთან, და თქვა, რომ მალე აპირებს წასვლას მოსკოვში. ხოლო პოლონეთში მოელიან რუსეთის თავდაცვითი უწყების მეთაურის მოადგილის ვიზიტს. ამასთანავე მან განმარტა, რომ სამხედრო ხელშეკრულებები, რომლებსაც ბოლო ხანს მოაწერა ხელი პოლონეთმა გერმანიასთან, უკრაინასთან, ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან, არ ნიშნავს მათთან სამხედრო კავშირების დადებას.

მოხსენება მიგრაციის პრობლემებზე

საბჭოთა კავშირის დაშლაა იმ მრავალრიცხოვანი კონფლიქტის მთავარი მიზეზი, რომლებიც თავს იჩენს დღეს სხვა კავშირში მცხოვრებ ეროვნებათა შორის. ამან აგრეთვე მნიშვნელოვნად გააძლიერა მოსახლეობის მიგრაცია როგორც ყოფილი კავშირის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც: ამჟამად „ემიგრანტობის პოტენციურ კანდიდატებად" შეიძლება ჩაითვალოს ყოფილი სსრ კავშირის რამდენიმე მილიონი მცხოვრები. ასეთ დასკვნას შეიცავს ყოფილ სსრ კავშირში მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი მოხსენება, რომელიც ხუთშაბათს საღამოს იყო წარდგენილი სტრასბურგში მიმდინარე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეთა განსახილველად.

გაზრდიან შეიარაღებული კონტინგენტის რიცხვს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ხუთშაბათს გამართულ კონსულტაციებზე განიხილა ერაყ-ქუვეითის საზღვარზე გაეროს ძალების განმტკიცების საკითხი. უშიშროების საბჭოს წევრებმა პრინციპულ თანხმობას მიაღწიეს ამ ძალების რიცხოვნობის დაახლოებით 4 ათასით გადიდების წინადადების გამო, რომელიც წამოყენებულია გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში. დემილიტარიზებულ ზონაში ერაყ-ქუვეითის საზღვრის დარღვევის თავიდან აცილებისათვის, აღნიშნულია გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში, საჭიროა სასწრაფოდ გაძლიერდეს გაეროს ერაყ-ქუვეითის მეთვალყურეთა მისიის შემადგენლობა. მისიაში შემავალი შეუიარაღებელი სამხედრო მეთვალყურეები უნდა შეიცვალოს შეიარაღებული სამხედრო კონტინგენტით, რომლის საერთო რიცხვი 3.645-ს შეადგენს, ამრიგად, გაეროს ერაყ-ქუვეითის მეთვალყურეთა მისია მიიღებს გაეროს შეიარაღებული ძალების მანდატს.

პრეზიდენტი ბრალს სდებს

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. ვალენსამ სეიმის ზოგიერთ დეპუტატს ბრალად დასდო, რომ ისინი შეგნებულად არღვევენ მართლწესრიგსა და ქვეყნის კონსტიტუციას. ეს ნათქვამია ხუთშაბათს გვიან საღამოს სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიის მიერ გავრცელებულ ლ. ვალენსას წერილში სეიმის მარშლის ვ. ხშანოვსკისადმი. როგორც წერილშია ნათქვამი, ბოლო დღეების ამბებმა აიძულა პრეზიდენტი მიემართა პარლამენტის სპიკერისათვის კითხვებით, რომლებზეც პასუხს მოელის აგრეთვე პოლონელთა საზოგადოება. ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელთა ლიდერები დეპუტატები არიან, ბოლო პერიოდში ფართო კამპანია გააჩაღა ლ. ვალენსას გადადგომის მოთხოვნებით, რომელსაც ბრალად სდებენ წარსულში სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას. ეს კამპანია გადაიქცა ქუჩის დემონსტრაციად პრეზიდენტის სასახლესთან. სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, ასეთი საქციელი დაუშვებელია, ხაზგასმულია წერილში.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!

"თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"

გრძელდება "თბილკომბანკი"-ს მორიგი გამოშვების 3,6,9 თვის და 1,2,3 წლის ვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების რეალიზაცია შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

3 თვის ვადით	13%
6 თვის ვადით	28%
9 თვის ვადით	43%
1 წლის ვადით	60%
2 წლის ვადით	150%
3 წლის ვადით	260%

სადეპოზიტო სერთიფიკატი ესაა ფასიანი ქაღალდი, რომლის მეშვეობითაც თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ ანგარიშსწორება, გაყიდოთ ან გადააფორმოთ. ესაა ბანკის მიერ გამოშვებული ინფლაციისაგან დაცული ახალი ფულადი საშუალება. 1, 2 და 3 წლის ვადიანი სერთიფიკატების შეძენა შეგიძლიათ როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით, 3, 6 და 9 თვის ვადიანისა კი მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.

სერთიფიკატების ღირებულებაა 10 000-მანეთი და ზევით.

სადეპოზიტო სერთიფიკატის ნაღდი ანგარიშით შეძენის შემთხვევაში დარიცხული პროცენტების გაცემა მოხდება თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით

თბილისის კომერციული ბანკი "თბილკომბანკი" შეიძენს მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტას ყველაზე მაღალი საბანკო კურსით როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

"თბილკომბანკი"-ს რეკვიზიტები: საკორესპონდენტო ანგარიში N700161518 საქ. ეროვნული ბანკი, მფო 522867

მისამართი: თავისუფლების მოედანი შ.დადიანის ქ.N2 (მე-3 სართული). ტელეფონები: 98-58-97; 98-47-70; 98-85-92; 98-85-98; 98-85-94.

„დილა" უნდა გვინათებდეს

ამასწინათ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჟურნალ „დილის" მიერ შარშან გამოცხადებული შემოქმედ ბავშვთა კონკურსის ბოლო ტური, რომლის შესახებაც ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ჟურნალის მთავარი რედაქტორი, მწერალი თენგიზ ხალვაში.

— კონკურსს ხიბლი და მიმზიდველობა შემატა ქართველ მწერალთა, კომპოზიტორთა, მსახიობთა, ბავშვთა და პროფესიულ ანსამბლთა მონაწილეობამ, ხოლო ტელევიზიის მესვეურთა გულისხმიერებისა და მონდომების წყალობით „კონკურსი-კონცერტის" მსვლელობას თვალყურს ადევნებდა რესპუბლიკის მილიონობით ტელემაყურებელი, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვწირავთ ბატონ არჩილ გოგელიას, ბატონ გოჩა ხუნდაძეს და ტელედეპარტამენტის მთელ კოლექტივს.

ამ რანგის ღონისძიება პირველად ჩატარდა საქართველოში და თუ მას რაიმე ხარვეზი ჰქონდა, დამსწრე საზოგადოებას და ტელემაყურებელს უმორჩილესად ვთხოვთ, მოგვიტევონ, თუმცა აღსანიშნავია, რომ დარბაზში თავისუფალ ადგილებს ძნელად თუ ვინმე შეამჩნევდა და არც ოვაციების სიმცირით დასწყვეტიათ გული სცენაზე მყოფ მონაწილეებს.

ეს ღონისძიება საქველმოქმედო მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ იმას, რომ წლის დამდეგიდან ჩვენი ყმაწვილების საყვარელი ჟურნალი „დილა" თვითდაფინანსებაზეა და „კონკურს-კონცერტის" უმთავრესი დანიშნულებაც ის გახლდათ, რომ თავისი ნორჩი მკითხველების უშუალო მონაწილეობით ერთხელაც შეეხსენებინა ქართველი საზოგადოებისათვის, რომ მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ყოველი ღონე და ძალისხმევა უნდა გამოვიყენოთ, რათა ჩვენს მომავალ თაობას არ მოვაკლოთ სულიერი საზრდო და მათ შორის ჟურნალი „დილა", რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია დიდის მონდომებით ემსახურება მრავალი თაობის სულიერი ფორმირების კეთილშობილურ და პატრიოტულ საქმეს.

სენტ ეგზიუპერის ცნობილი გამონათქვამით „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ!" ამ სენტენციის პერიფრაზირებით კი, საქართველოში თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, „ჩვენ ყველანი „დილიდან" მოვდივართ!".

და როგორც ჩანს ეს ფაქტი არ დავიწყნია მრავალ მამულიშვილს, რომელთაც ჟურნალ „დილის" გაჭირვების ჟამს, გულთან მიიტანეს მისი სატკივარი.

პირადად ედუარდ შევარდნაძის დახმარებითა და ძალისხმევით 1993 წლის საბიუჯეტო პროგნოზით ჟურნალ „დილას" და მის დამატება „აი იას" პირველსავე კვარტალში 900 ათასი მანეთის საბიუჯეტო ასიგნება გამოეყოფა.

უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს ჟურნალს ეროვნულმა ბანკმა (პრეზიდენტი ბატონი დემურ დვალიშვილი) — 150 ათასი მანეთი, ბინსოცბანკმა გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ჯუმბერ გონაშვილი) — 100 ათასი მანეთი; „იბერთბანკმა" (მმართველი ბატონი ოთარ თოხაძე) — 100 ათასი მანეთი, „მრეწვმშენბანკმა" (გენ. დირექტორი ბატონი ზაალ განძახაძე) — 50 ათასი მანეთი, კიდევ მრავალმა ორგანიზაციამ და კერძო პირმა, რომელთაც შეძლებისდაგვარად გაგვიწიეს ფინანსური დახმარება.

უდიდესი პატივი მოგვაგეს ცნობილმა ქართველმა მსახიობებმა, ტელემარათონის წამყვანმა ქალბატონმა ზინაიდა კვერენჩხილაძემ, ქალბატონმა ელდინო სალარაძემ, კომპოზიტორებმა ქალბატონმა ნუნუ გაბუნიამ და ბატონმა ჯემალ სეფიაშვილმა, პოეტებმა — ბატონებმა გივი ჭიჭინაძემ, შოთა ხოდაშნელმა, მომღერლებმა ქალბატონმა ირმა სოხაძემ და ბატონმა გოგი დოლიძემ.

ქველმოქმედება

განსაკუთრებული მადლობა გვინდა მოვახსენოთ „კონცერტ-კონკურსის" რეჟისორს, პოეტს ქალბატონ ცირა ქიტიაშვილს, რომელმაც უდიდესი ძალისხმევა და სითბო ჩააქსოვა მის ორგანიზებაში.

დაუვიწყარი შთამბეჭდაობა შემატეს კონცერტს მასში მონაწილე ანსამბლებმა „მართვემ", „პატარა თაიგულმა" (ხელ. მზია ლომინაძე), ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მცხეთამ" (ხელ. ა. ბილანიშვილი), ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ბატონ ტარიელ გოგიბერიძის ხელმძღვანელობით, შემსრულებლებმა — პატარა მომღერლებმა „ბასტი-ბუბუდან" „ფრანგმა" სოფიკომ და „ბრიტანელმა" ანანომ.

კონკურსის გამარჯვებულები არიან: პოეზიაში: შაქრო ქიტიაშვილი, ბექა ჯაფარიძე, თამარ ძუძუაშვილი, ანანო ჩხოლარია და სხვები. პროზაში შორენა პავლიაშვილი, მარიამ გიორგაძე, ნინო ხარიტონაშვილი, ნორჩი კომპოზიტორებიდან: ანი ცქვიტინიძე, ანი ასათიანი, ნიკა მემანიშვილი, ნიკა ბექანიშვილი და სხვები. მხატვრობაში: ნინო კვარაცხელია, დათუნა თუშაბრამიშვილი, გიორგი არაბული, თინათინ მანია და სხვანი.

ბოდიშს ვუხდით ჩვენს პატარა შემოქმედთ, რომ ყველას გვარსა და სახელს ახლა ვერ ვაქვეყნებთ, მაგრამ ჟურნალი „დილა" ამ ხარვეზს უახლოეს ნომრებში შეავსებს. ეროვნულმა ბანკმა თერთმეტ გამარჯვებულს პრიზებად გადასცა თითოეულს 10 ათასი მანეთი.

საქართველოს ბინსოცბანკმა ბავშვთა საჩუქრებისათვის გამოყო 20 ათასი მანეთის ძვირფასი ნივთები (მათ შორის 10 სასაჩუქრო „ვეფხისტყაოსანი"), მცხეთის საკრებულოს გამგეობამ (თავმჯდომარე ბატონი გელა მიქელაშვილი) უძვირფასესი კერამიკული ლარნაკი და შიომღვიმის მონასტერში ნაკურთხი წმინდა ნინოს ხატი.

პრიზები დააწესეს აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირმა, კულტურის სამინისტრომ, ჟურნალისტთა ფედერაციამ, გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ", „ქალთა გაზეთმა", სურათების ეროვნულმა გალერეამ, განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის ცენტრმა, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა და მრავალმა სხვამ.

ბავშვები საკუთარი წიგნებით დააჯილდოვეს პოეტებმა: ლიდა სტვილიამ, გივი ჭიჭინაძემ, შოთა ხოდაშნელმა, გიორგი წერეთელმა.

ჟურნალ „დილის" გასაჭირი გაიზიარეს ქუთაისელმა პატარა ბავშვებმა თათია გოგიბერიძემ და ბექა წივწივაძემ, რომლებმაც ჟურნალის ფონდს შემატეს 5.5 ათასი მანეთი.

და მაინც მოგვიტევოს ყველამ, თუ „დილას" რედაქცია სულით ხორცამდე შეძრა ორმა ამაღელვებელმა ფაქტმა: ერთ-ერთმა უპირველესმა ჩვენი კონკურსისათვის პრიზი — მატისის ალბომი დააწესა თელავის კულტურის სახლის საბავშვო ანსამბლმა და თან საკუთარ კონცერტში აღებული ფული — 2250 მანეთიც გამოგვიგზავნა, რომელიც ჟურნალ „დილას" საპატიო სიგელების დამზადებას მოხმარდა.

მეორედ კი სიხარულის ცრემლი მოგვგვარა, იმან რომ უცნობმა მამაკაცმა 30 ათასი მანეთი შემოგვწირა და ვინაობაც არ გაგვიმხილა, მხოლოდ ესღა წარმოთქვა:— „დილა" ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი და აღმზრდელია და კუთვნილ ვალს ნაწილობრივ ვუბრუნებო.

ძნელია ყველასა და ყველაფრის გახსენება და ჩამოთვლა: გაფორმდა ბევრი ხელმოწერა ორივე ჟურნალზე, მრავალმა სამინისტრომ, ფირმამ და ორგანიზაციამ უყოყმანოდ შეიძინა ბილეთები.

ყველა მონაწილეს, ორგანიზაციასა და გულშემატკივარს ჟურნალი „დილა" უდიდეს მადლობას მოახსენებს.

გვერწმუნეთ, კეთილისხმიერებისა და სიკეთისათვის მაღალ ღმერთს შევთხოვთ, ასმაგი წყალობითა და ხელდასმით მოგაგოთ საქართველოს მომავალი თაობის სულიერი აღზრდისათვის გაღებული მადლი და სიკეთე.

და მაინც ჟურნალ „დილის" რედაქცია უდიდესი თხოვნით მიმართავს ორგანიზაციებსა და კერძო პირებს: ნუ დაივიწყებთ საქართველოს ობოლი და უდედმამო ბავშვთა სახლების ბინადართათვის გამოიწეროთ ჟურნალები „დილა" და „აი ია".

ტელემარათონი დამთავრდა, მაგრამ საყმაწვილო ჟურნალების დახმარება გრძელდება.

ჩვენი ანგარიშია: 000164001 კოდი 52175 კრწანისის ბინსოცბანკი, შემ. ბანკი 3528 ანგარიში № 1448, ჟურნალ „დილას" რედაქცია.

მისამართი: თბილისი 96, კოსტავას ქ. 14.

სურათზე: ჟურნალ „დილის" კონკურსის ბოლო ტურზე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მათ უბილეთოდ მგზავრობა უნდოდათ

3 თებერვალს კომერციულ თვითმფრინავში, რომელსაც უნდა შეესრულებინა თბილის-მოსკოვის რეისი, ღამის თორმეტის ნახევარზე მოულოდნელად შეიქნა რამდენიმე უბილეთო მგზავრი. ამან გამოიწვია არეულობა. არეულობის ალაგმვეთად ერთ-ერთმა სამხედრო პოლიციელმა ჰაერში ისროლა. მგზავრებს ეჭვი გაუჩნდათ, ხომ არ სურდათ თვითმფრინავის გატაცება.

შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდა ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით ზერიძე. გაირკვა, რომ ოთხი უბილეთო მგზავრი შეუთანხმდნენ პილოტებს. მგზავრები აიძულეს ჩამოსულიყვნენ თვითმფრინავიდან, ხოლო თაღლითმა პილოტებმა გადახდილი ბილეთების საფასური დაუბრუნეს მგზავრებს.

კარგია ფულიც, სახელიც

რუსთავის „გორდას" დამსახურებული გამარჯვებით დამთავრდა მინი-ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი დედაქალაქის სპორტის სასახლეში.

გივი ნოდიას აღსაზრდელებმა მთავარი პრიზის მოსაპოვებლად სერიოზული განაცხადი ჯგუფური მატჩების ბოლო დღეს გააკეთეს, როდესაც პენალტების სერიით გათამაშებიდან გამოთიშეს ასპარეზობის ფავორიტი —თბილისის „დინამო" — 8:7 (ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო — 3:3). ქვეყნის სამგზის ჩემპიონთა შესახებ ისიც შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ისინი მეტისმეტად აკადემიურად თამაშობდნენ და წინა შეხვედრებიც გაჭირვებით მოიგეს.

რაც შეეხება ფინალს, რუსთაველებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს თელავის „კახეთის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც ამ ტურნირზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს. მატჩის ბედი დამატებით დროში გადაწყდა — ღოღოშვილისა და ვ. კილასონიას ზუსტმა დარტყმებმა წარმატება და 400 ათასი მანეთი „გორდას" მოუტანა. „კახეთს" 250 ათასი მანეთი ერგო. მესამე ადგილისათვის დავაში დინამოელებმა სძლიეს სოხუმის „ცხუმს" — 6:3 და 150 ათასი მანეთი დაიმსახურეს. ტურნირის ყველაზე კორექტულ გუნდად სპეციალისტებმა „ცხუმი" მიიჩნიეს და 50 ათასი მანეთით დააჯილდოვეს.

60-60 ათასი მანეთი თითოეულს გადაეცათ შეჯიბრების უძლიერეს ფეხბურთელებს: საუკეთესო მეკარეს — მამუკა ქორიძეს („გორდა"), საუკეთესო მცველს — დავით სოლოღაშვილს („კახეთი"), საუკეთესო თავდამსხმელს — შოთა არველაძეს („დინამო"), საუკეთესო ფეხბურთელს — ვარლამ კილასონიას („გორდა"), საუკეთესო ბომბარდირს — მიხეილ ჯიშკარიანს („ცხუმი"). ასეთივე პრიზი ხვდა წილად საუკეთესო მსაჯად აღიარებულ მალხაზ კობიაშვილს (დუშეთი).

სხვა სპონსორებთან ერთად მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ ტურნირის ორგანიზატორი და მთავარი სპონსორი — საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტი, რომელმაც 1,5 მილიონი მანეთი გამოჰყო.

აქვე გაგაცნობთ 1979-1980 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირის შედეგებს, რომელთა ასპარეზობაც ოსტატთა პარალელურად მიმდინარეობდა სპორტის სასახლის სარბიელზე. ჩემპიონი გახდა „ვაკე-91" (მწვრთნელი — კ. დოლიძე), რომელმაც ფინალში დამატებით დროში ანგარიშით 4:2 მოუგო თბილისის „მაისს". მესამე ადგილისათვის პაექრობაში 35-ე სკოლის გუნდმა დაჯაბნა რუსთავის „მამული" — 8:0.

ქების ღირსნი არიან სპონსორები, რომლებმაც სათანადოდ აღნიშნეს ტყავის ბურთის ნორჩ მეგობართა ოსტატობა.

გია პლატონიშვილი.



სურათზე: ტურნირის მომენტი.

ზურაბ გენბიურის ფოტოები.

ჭადრაკის სამყაროში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც 34 მოჭადრაკე ჩაება. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით — 9 ტურად ეწყობა.

3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით — 3 დაწინაურდა გორელი ციალა ქასოშვილი, რომელიც ნახევარი ქულით უსწრებს უახლოეს მდევართა ჯგუფს.

ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას მანეთს შეადგენს. ჩემპიონს გადაეცემა ამ თანხის ნახევარი, ხოლო მეორე და მესამე პრიზიორებს — შესაბამისად 15 ათასი და 10 ათასი მანეთი. პირველობის გამარჯვებული და მეორე ადგილის მფლობელი ითამაშებენ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში.

• • •

ბუდაპეშტში დამთავრდა იუდით პოლგარ-ბორის სპასკის საჩვენებელი მატჩის პირველი ნახევარი.

მეოთხე პარტია პოლგარმა მოიგო, ხოლო მეხუთე ყაიმით დასრულდა.

ანგარიშია 2:1 უნგრელი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

უბერებელი მარტინა

იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში ვეტერანი ამერიკელის მარტინა ნავრატილოვასა და გერმანელი შტეფი გრაფის ფინალური მატჩით დაგვირგვინდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 750 ათას დოლარს შეადგენდა. ნავრატილოვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერჯერობით ნაადრევია. მან 3 პარტიაში გაიმარჯვა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

იუბილე

ეროვნული ცეკვების მოამაგე

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფს რევაზ ჭოხონელიძეს ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს და 30 წელს იმ დღიდან, რაც მან გადაწყვიტა შესჭიდებოდა ეროვნული ცეკვების დამდგმელის რთულ შრომას.

იმ, ახლა უკვე ასე შორეულ 1963 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ანსამბლ „რუსთავს". სიმღერებმა და ცეკვებმა, რომლებსაც იგი ასე ბრწყინვალედ ასრულებდა მშობლიური ქალაქის, თბილისის, საქართველოს სხვა ქალაქების სცენებზე და მათ შორის მის ფარგლებს გარეთ, კოლექტივს დამსახურებული წარმატება და სახელი მოუხვეჭა.

რევაზ ჭოხონელიძე მიიწვიეს, სათავეში ჩასდგომოდა სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლ „თბილისს". და ამის შემდეგ — დღემდე მრავალი საერთაშორისო ფესტივალისა და საპატიო ჯილდოების ლაურეატი მუშაობს დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფად.

როცა თავის თავზე, იმ კოლექტივების შემოქმედებით გზაზე გვესაუბრება, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა, ბატონი რევაზი ყოველთვის აღნიშნავს ხოლმე, რომ მის გვერდით მუდამ იყო ერთგული მეგობარი და თანამოაზრე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მთავარი დირიჟორი, კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი. სწორედ მის სახელს უკავშირებს რევაზ ჭოხონელიძე იმ წარმატებას, რომ ანსამბლს ახლა უკვე აკადემიური ეწოდება.

რევაზ ჭოხონელიძე შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდშია. ალსავსეა სურვილით მადლიერ მაყურებელს მიუძღვნას უჭკნობი ხალხური ხელოვნების საოცარი გრძნობით გამსჭვალული ახალი ქორეოგრაფიული მინიატურები.

სურათებზე: საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე, „გააკეთეთ ჩემსავით!" სარეპეტიციოში კონცერტის დაწყების წინ.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



რა ღირს ბოთლი?

როგორც თბილისის მერიის ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა გოდერძი მინდიაშვილმა გვაცნობა, დამტკიცებულია მინის ტარის ახალი საგირავნო ფასები.

ყველაზე ძვირია ღვინის ცარიელი ბოთლი — 20 მანეთი, კონიაკისა — 14 მანეთი. ლიმონათის ბოთლი ღირს 11 მანეთი. დანარჩენი მინის ტარის ფასი უწინდელი დარჩა: მზესუმზირას ზეთის და რძის ბოთლი 5 მანეთი. „პეფსი-კოლას" ბოთლი — 6 მანეთი, მაიონეზის ქილა — 3 მანეთი.

0,5 ლიტრი, ერთი ლიტრი, ორი და სამი ლიტრი ტევადობის მინის ქილები შესაბამისად ღირს 4,5, 7,5 და 10 მანეთი.

მომხმარებელი საგირავნო ფასს დააბრუნებს მხოლოდ სანაცვლოდ, ხოლო დაგროვილი ბოთლებისა და ქილების მინის ტარის მიმღებ პუნქტებში ჩაბარების შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არის. ისინი დაკეტილია მათი გასატანი ტრანსპორტის უქონლობის გამო, მაგრამ, როგორც ვაჭრობის მუშაკები ამბობენ, პატარ-პატარა პარტიების ჩაბარება შეიძლება მაღაზიებში, თუ ამის საშუალებას იძლევა სავაჭრო ფართობი. ოღონდ მათ იღებენ ძველი ფასით — 5-6 მანეთად. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ პუნქტების გახსნას, ამ საკითხზე მზადდება მერიის დადგენილება. მაგრამ აი, რა საგირავნო ფასი იქნება განსაზღვრული, ჯერჯერობით უცნობია.

უკვდავი ფესვები

ქართული მითოლოგია

ნინო მამალაძე

გამომცემლობა „მერანმა" ახლახან დაბეჭდა პროფესორ აპოლონ ცანავას მიერ შედგენილი კრებული „ქართული მითოლოგია". ამ საინტერესო ნაშრომში შემდგენლისგან წლების განმავლობაში მოპოვებული, ადრინდელი გამოცემებიდან და საარქივო ჩანაწერებიდან ამოკრებილი მითოლოგიური გადმოცემების სპეციფიკური ჟანრების — მემორატებისა და ფაბულატების ორას თექვსმეტი ნიმუშია წარმოდგენილი. მათი მოზრდილი ნაწილი 1990-1991 წლებში დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო განათლებაში", რომელსაც მაშინ აპოლონ სილაგაძე რედაქტორობდა, ამიტომ ამ წიგნის რედაქტორიც ბატონი აპოლონ სილაგაძეა.



კრებულში წარმოდგენილი მასალები სამ ჯგუფადაა გაყოფილი: 1. კოსმოგონიური მითები; 2. სამონადირეო მითები, დევები და ქაჯები; 3. მეზირის კულტის ამსახველი მითები.

შენიშვნებში მკითხველი გაეცნობა ტექსტების პასპორტს.

დასათაურება, კუპირება, კუთხურ კილოზე (აგრეთვე მეგრულად და სვანურად) ჩაწერილი მასალების თანამედროვე სალიტერატურო ენის მიხედვით გადმოცემა შემდგენელმა შეასრულა.

ასეთი კრებული პირველად გამოდის და მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის არის გათვალისწინებული.

წიგნი იყიდება გამომცემლობა „მერნის" საფირმო მაღაზიაში.

ეთერშია საქართველო

უჩვენებს თბილისი

ოთხშაბათი

10 თებერვალი

7.30 — **ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა,** 13.00 — **ნაშუადღევს — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა.** 17.00 — **ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა.** 17.15— მხატვრული ფილმი „მოგზაურობა მდინარეზე ქათამთან ერთად". 18.40 — განცხადებები. 18.50 — გეორგიკა. 19.30— ანძა — ტელემარკეტინგი. 19.40 — ეთერშია საყმაწვილო სატელევიზიო სტუდია — „გრემი". 19.50 — ბავშვებისათვის— მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი" — ფილმი პირველი. III სერია. 21.45. — წარმატების თანაავტორები. 22.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 22.15. — ვიდეო... ვიდეო... 23.50 **ქვეშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.**

ხუთშაბათი

11 თებერვალი

7.30 — **გამარჯობა, საქართველო! — საინფორმაციო შემეცნებითი პროგრამა.** 13.00 — **ნაშუადღევს — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა.** 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „ციყვუნია მიკის თავგადასავალი". 18.45 ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა კონცერტი. 19.00 — განცხადებები. 19.10 — ვერნისაჟი— ბორის ციბაძე. 19.45 — რამპა. 19.50 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 20.40— ქართული მხატვრული ფილმი „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი" ფილმი პირველი — IV სერია. 22.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 22.15 წრე. 23.15 — სპორტული პროგრამა — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის, საფეხბურთო მიმოხილვა.

პარასკევი

12 თებერვალი

7.30. — **ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა.** 13.00 — **ნაშუადღევს — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა.** 17.00 — **ვესტნიკი—საინფორმაციო პროგრამა.** 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „იყო მამაცი კვიცი". 18.30 — განცხადებები. 18.40 — მრავალწერტილი... 19.05 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.15 — ეთერშია საყმაწვილო სატელევიზიო სტუდია — „ამერიკული დღიური". II ნაწილი. 19.50 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 20.40. — პოლიტიკა. 21.25 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. 22.00 — **მაცნე — საინფორმაციო პროგრამა.** 22.15— უცნობი კინოშედევრები — ფრანგული მხატვრული ფილმი „ზიზი". 23.50 — **ქვეშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.**

გამოსათხოვარი

თეიმურაზ მათურელი

მოულოდნელად, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში წავიდა ჩვენგან **თეიმურაზ მათურელი**, შესანიშნავი პიანისტი და პედაგოგი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი.

თ. მათურელი დაიბადა ქ. სიღნაღში 1947 წლის 28 აპრილს. ბავშვობიდანვე გამოავლინა შესანიშნავი მუსიკალური ნიჭიერება. 1964 წელს ამიერკავკასიის კონკურსში თ. მათურელი პირველ პრემიას იმსახურებს. 1966 წლიდან ის ოსტატობას სრულყოფს მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორების ი. ფლიერის და ლ. ნაუმოვის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელთან გაიარა ასპირანტურის კურსი. ცნობილმა პიანისტმა ჰენრიხ ნეიჰაუზმა მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

1970 წლიდან თეიმურაზ მათურელი მიიწვიეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საფორტეპიანო კათედრაზე სპეციალობის მასწავლებლად. ბოლო წლებში მისი პედაგოგიური ავტორიტეტი გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს: 1991 წელს ის კლასის კონცერტებით წარმატებით წარსდგა ჰოლანდიელი მსმენელის წინაშე. მათურელის პედაგოგიური ნაღვაწის გვირგვინი გახდა 1992 წლის ნიუპორტის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც გამარჯვება მის სტუდენტს ერგო.

თვით თ. მათურელის კონცერტები ყოველთვის იმართებოდა ხალხმრავალ აუდიტორიებში მისი პროგრამები გამოირჩეოდა [illegible], განმანათლებლური ხასიათით.

თეიმურაზ მათურელი ბრწყინვალე არტისტულ ფორმაში იყო როგორც პიანისტი, დიდებულად ასრულებდა საქართველოს დესპანის როლს მრავალ ქვეყანაში. იგი საგასტროლო მოგზაურობის დროს აღესრულა. მისი სიცოცხლე გაგრძელდება მრავალრიცხოვან ნიჭიერ მოწაფეთა შემოქმედებაში, ფონოგრაფიულ მემკვიდრეობაში, მშვენიერ ნაშრომში ალბან ბერგის შესახებ და მადლიერი კოლეგების გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორატი; სპეციალური ფორტეპიანოს კათედრა.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1993 წლის 5 თებერვლის დადგენილებით ა. წ. 1 თებერვლიდან დეპარტამენტ „საქენერგოს" და საბითუმო გადამყიდველების ელექტროქსელებიდან გაცემული ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ტარიფი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის გარდა მოსახლეობისა შეადგენს 10 მანეთს.

სოციალური დაცვის გათვალისწინებით მოსახლეობისათვის ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ტარიფი ა. წ. 1 მარტამდე კვლავ რჩება 1 მანეთი.

ფირმა „ნირო" გიწვევთ

იტალიაში — ადრიატიკის ზღვაზე, ბიბიონი-ვენეცია, 7-დღიანი დასვენებით (მაისში).
ფასი 180 დოლარი და 35.000 მან. — თვითმფრინავით.
ბუდაპეშტში — 7 დღით (მარტში).
ფასი 200 დოლარი და 60.000 მან. — თვითმფრინავით.
საბერძნეთში — ეგეოსის ზღვაზე, 7-დღიანი დასვენებით (მაისში).
ფასი 320 დოლარი და 40 000 მან. — თვითმფრინავით.
ჩვენი მისამართია: ა. ჭიქიას ქ. 6, მე-5 სართული (ქავთარაძის ქუჩის გაგრძელება); ტელ.: 31-27-78; 31-00-11 (11-დან 16 საათამდე) შაბათ-კვირის გარდა და ტელ. 99-68-01. 16 საათის შემდეგ.

ფირმა „დიოსკურია" გთავაზობთ მოგზაურობას:

პარიზში (საფრანგეთი) — 4 დღით
მარშრუტი: თბილისი-მოსკოვი-მიუნხენი-პარიზი-თბილისი.
თქვენ დაათვალიერებთ ვერსალსა და ლუვრს, ეიფელის კოშკს და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს.
საგზურის საფასურში შედის მგზავრობა თბილისიდან თბილისამდე, 3-ვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება და ორჯერადი კვება.
ფასი 250 ამერიკული დოლარი და 40.000 მან.
ჩვენთან მოგზაურობა ყველაზე იაფია. იჩქარეთ, საგზურების რაოდენობა შეზღუდულია, ჯგუფი გაემგზავრება მარტში.
საბუთების გაფორმება სასწრაფოა!
გთხოვთ მობრძანდეთ!
ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპ. 7. ფირმა „დიოსკურია".
ან დარეკეთ: 36-00-14; 36-78-13 (11-16 საათამდე), 93-60-60 (16-20 საათამდე).

აუცილებელი განმარტებები

ჩვენი გაზეთის 5 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ გიორგი პაპუაშვილის წერილში — „სამეგობრო ხელშეკრულება თუ არა, მაშ, როგორი?" სტრიქონში — „ქართულ ენციკლოპედიაში ჯერჯერობით არ არის განმარტებული, რას ნიშნავს ხელშეკრულება", „ჯერჯერობით"-ის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ჯეროვნად", იქვე, „ვისთვისაც სამეგობრო ხელშეკრულებას სდებ", უნდა იკითხებოდეს: „ვისთანაც სამეგობრო ხელშეკრულებას სდებ". დანარჩენი როგორც ტექსტშია.

ბატონ ჰენრი კუპრაშვილის წერილში „სახელმწიფოს დროშაზე შავი ფერის გამო" („სრ" 3.02) დაშვებულია უზუსტობა. მცდარია ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ზუსტად იგივე შეფერილობის (შავი, თეთრი, წითელი) დროშა დღეს აფრიკის კონტინენტზე ზემო ვოლტის სახელმწიფო დროშაა". საქმე ის გახლავთ, რომ დღეს (!) ასეთი სახელმწიფო არ არსებობს და აღარც ის დროშაა სადმე. ყოფილ ზემო ვოლტას უკვე რამდენიმე წელიწადია ეწოდება ბურკინა-ფასო („ღირსეულ ადამიანთა სამშობლო") და მისი დროშაც სხვანაირია (წითელი და მწვანე ზოლები შუაში ყვითელი ვარსკვლავით).

გიორგი გალათურია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА